



Ա Զ Բ Ո Ւ Ո 1902



## ულრნალ „ჯეჯილისა“

I პატარა მათხოვარი ლექსი—აკავისა . . . . .	3
II ტიყი, ქვეერი და ლეინო იგავი—ალ. მირიანაშვილისა . . . . .	6
III მესამე ოქრო ზღაპარი ლაკედისა (თარგმანი) . . . . .	7
IV კატა და მცი თრ-ფეხა მეკობრები (თარგმანი) . . . . .	21
V საწყალი კაცი ისური არაკი—ქართველი ასებში . . . . .	22
VI ჭიქა და ფინჯანი (რუსულიდან) —ბეს. გაშაბასა . . . . .	27
VII მელის თაე-გადასაცალი, ზღაპარი (გაგრძელება) —ალ. ნათაძესა . . . . .	28
VIII პატარა დედოფალი (თარგმანი) გაგრძელება იქნება—ს. ციცაშვილისა . . . . .	36
IX ყმაწვილების ალსარება ლექსი — დ. თომაშვილისა . . . . .	48
X ფან დარკი (კადმოკეთებული ფრანგულიდან) დასასრული—ს. წერეთლისა . . . . .	50
XI ეინ იყო უდიდებულესი საქართველოს მეფე—ქალი? რითი იყო დიდებული—სახეროს თრ-ჭავასიანი სკოლ. მოწაფე დიანთზ ამჟამიშვილისა . . . . .	58
XII წერილმანი: აკროსტიჩი, ანდაზები, გამოცანა, უჯრების ამოცანა და რებუსი . . . . .	60

«ჯეჯილის» რედაქცია უმორჩილესათ თხოვს იმ სელის-მომწერლებს, რომელთაც წლიური ფასი სრულდადარა აქვთ შემოტანილი დახჩქარონ ფულის გამოგზავნა. ვინც შილებელ ივლისაძე პრ შემოტანს, იმათ ივლისის «ჯეჯილის» ნომერი აღარ გაეგზავნება.

345  
საქართველო  
საბჭოო კომიტეტი



საზოგადო ნახტომის 1902 წერნალი

ქადაგი

იზარდე, მწანე ფეხილო,  
დაპურდი, გახდი ყანაო!..

ა. დ.

№ VI

ქადაგი ნახტომის 1902 წერნალი



ტბილისი

სტამბა ტ. მ. როტინიანი, № 41 | Тип. Т. М. Ротиниана, Гол. пр. № 41  
1902

1736



---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18-го Мая 1902 г.

---

## პატირა მათხოვარი.



ომხედეთ, ღმერთი მოგხედავთ!..  
მათხოვარი ვარ ჰატურა;  
მშია და გამწარებული  
ლუკმა ცურს ვეძებ სხვას არა!

—  
ნუ გამიშურებით ცოდვა ვარ!..  
ნუ დაიშურება სამადლოს!  
ჯერ შვიდი წლისაც არა ვარ,  
რომ თავის მოვლა შემეძლოს.

—  
აღარც დედა მყავს, არც მამა  
და არც სხვა ვინმე მზრუნველი;  
გარიყარ სამოწყალოსთვის  
უნდა ვაშვირო მე ხელი.

—  
თქვენ ეგებ წუწჩი გვინივართ?  
ან ღორმულელა?.. აჭ, არა!



ლუკმას დავეძებ დღიურსა  
და მეტი არა მინდა-რა!

—  
დღეობა იყო სოფელში  
გუშინ და დიდი მოლხენა;  
სიმღერა, ცეკვა, თამაში!..  
მე არც-კი ვინმემ მახსენა!..

—  
შევჩერებოდი შორიდან  
ჩემ ტოლებს... გული მწყდებოდა.  
ცრემლებს ვყლაპავდი, უპუროთ,  
შიმშილით სული ძხდებოდა.

—  
მეც ვიცი, დიდებისაგან,  
რომ უთქვამთ, გამიგონია:  
, „მაძლარსა ყველა მშიერიც,  
თურმე მაძლარი ჰგონია“.

—  
მაგრამ ნუ გჯერათ თქვენ მაინც,  
მე მშიერი ვარ ნამდვილათ.  
სული რომ ყელში მეჩრება,  
გელარ ვთხოულობ ხმა ტკბილათ.



ეს ბევრს არ მოსწონს: „რას ლგავს, უკავშირობის  
ან ხმა, ან სახე... ფერიო!..  
გულს ნუ გვიწუხებ ღიტინით!  
მოგვშორდი... წაეთერიო!..“

—  
ნუ გამიწყრებით თქვენ მაინც!  
ოხერ თბლობა ძნელია!  
დაგლოცავთ — ღმერთი შეისმენს...  
კეთილის გადამხდელია!

აკაკი.

(ნათარები)



## ଶୁଣ, କବିତା ଓ ଚିତ୍ରନାଟ୍ୟ.

୦୮୦୩୦



କୃପା ପ୍ରକାଶକାରୀ: „ମେ କାମିକେ ଲକ୍ଷଣୀରୀ  
ଦା ମଦଲାକୁରୀ ବାର, ଖେଳ ମଞ୍ଚଙ୍କୁ  
ମନ୍ଦିରପାତା, ଦାଵାଖାଲୁରୁରୁଥି, ଗନ୍ଧେ-  
ଶାଶ ଦାବୁଥିନ୍ଦ୍ରିୟ ଦା ଶିଳ୍ପିଙ୍କ କବ୍ୟ-  
ନିଃ ଶାମିଲାତ ଦା ମାତ୍ରାରାତ ବାଦିପ୍ରେସ୍“.

## მესამე თქოთ.

(ხლაპარი ლაკედისი)

### I



რო მდიდარ სოფელში ცხოვრობდა  
ერთი საძაგელი, მოუსვენარი მეჩოხე.  
თავის მეზობლებს განუწევეტლივ ქი-  
ხუბებოდა, ლოთობდა და დორზე არ  
ამზადებდა შეკვეთილ საქმეს. სამინ-  
ლათ უნდოდა მალე გაძლიდრებული-  
ეო და ამიტომ საჩოხე შალსაც ბევრ-  
ჯელ იაპრავდა. ცოლი მალე მოუკვ-  
და, შვილები-კი არც ერთ არა  
ჰქოლდა. საკეირველიც არ არის, რომ

სოფლელებს არ უუპარდათ მეჩოხე და ბოლოს და ბოლოს  
იშვიათად მიჭირნდათ მასთან საქმე. როდესაც ამ სოფელში  
ახალი მეჩოხე მოვიდა, მაშინ ავი მეჩოხე სრულიად უსაქ-  
მოთ დარჩა და მოუწმირა ლოთობას. ბოლოს ერთ სასის-  
დარ საქმეშიაც გაება.



სოფლელებმა შეიტანეს მასე საჩივარი, მაგრამ დანა-  
შაულობა ვერ დაუმტკიცეს და ამისათვის გაანთავისუფლეს, მხა-  
ლოთ იმ პირობით, რომ ამ სოფლიდან დაქარგულიყო.  
მეჩოხემ გაუიდ-გამოეიდა თავის ბარგი-ბარხანა და გაუდგა  
გზას.

როდესაც მარტოთ მარტო გავიდა სოფლელ გარეთ მხო-  
ლოთ მაშინ იგრძნო მეჩოხემ, რა საზიდარი ეოფილა  
უსვინიდისოთ ცხოვრება და გადასწუვიტა: ახლა-კი კეთილ  
და ჰატიოსან მუშათ უნდა გაახდეო. ქალაქამდე გზა ორმო-  
ცი ვერსი იქნებოდა; მეჩოხე მალე დაიღალა და დასასვე-  
ნებლათ გზის ნაპირას დიდ ქაზე ჩაძოჯდა.

ზის საწეალი და ახალ ცხოვრებაზე ფიქრობს... ამ  
დროს ვიდაც უცნობი მოუახლოვდა, დარიბულათ ჩაცმული,  
ბოსჩით ხელში; მგზავრმა მეჩოხეს სალამი მისცა და ერ-  
თი სოფლის გზა ჰქითხა. მეჩოხე თუმცა იქით მიდიოდა,  
მაგრამ მგზავრს გზა მაინც არ ასწავლა.

— არ ვიცი, აგერ გლეხი მიწასა ხნავს, იმას ჰქით-  
ხეო!

— კარგი, შენ მანამდის ჩემ ბოსჩას უნატრონე.— უნასუ-  
სა მგზავრმა; ბოსჩა მიწაზე დააგდო და ჩქარის ნაბიჯით  
გლეხისკენ გასწია. მეჩოხემ ბოსჩას ხელი დავლო და ქექ-  
ვა დაუწეო; შიგ თეთრეული ეწეო, ორიოდე მეელი წიგნი  
და ქისა. მეჩოხეს ხელებმა ცახცასი დაუწეო; საშინლათ  
უკვარდა ჭული. გასწნა ქისა და შიგ სამი თქრო იდო, მერე



რა კოდალი გაჟერნდათ!! აიღო ერთი ოქტო და წარის ულმი ჩაიდო. გველაფერი ისევ თავ-თავის ალაგას ჩასდო და ბოხჩა მიწაზედვე დააგდო. დიდის სიამოვნებით აიღებდა სამივე ოქტოს, მაგრემ ემინოდა ვაი თუ მგზავრმა ბოხჩა გაშინჯოსო. სამივე ოქტოსთვის უფრო დიდ დავი-დარაბას გააბამსო. — ახ! ნეტავი გულთმისანი ვიუო, — ჭყიქრობდა მეჩოსე, რომ — გამეგო, გაჟმინჯავს ბოხჩას, თუ არა?.. ამა-ობაში მგზავრი კიდევ დაბრუნდა, აიღო ბოხჩა, გახსნა და ქისას შინჯვა დაუწეო.

— მეჩოსე შიშისაგან ოფლმი გაიწურა.

— მესამე ოქტო სადღაა? იკითხა მგზავრმა.

— რა მესამე ოქტო?

მგზავრმა ქისაზე აჩვენა.

— აქ სამი ოქტო იუო, ორი-ღაა, შენ ხომ არ აგიღია?

— არაუერც არ ვიცი, რას ამბობ?!

— ოოუორ თუ არაუერი, მაშ შენს გარდა აქ კიდე ვინ-დე ეოუილა?

— არავინაც არ ეოუილა.

— მაშ შენ აგიღია!

— არა ღმერთმანი, არა, სხვის ბოხჩასთან რა ხელი მაქვს! ღმერთია მოწამე, მე ფიქრშიაც არ მომსვლა შენი ფული.

— ღმერთი გველაფერისა ქსედავს! წაილაპარაკა მგზავ-რმა — თავი დავანებოთ მაგ ლაპარაკა!.. საით მიდისარ?



მეჩოხე ახლა-კი დაშვიდდა. დაწვრილებით სამოუქამდებარებელი მეზაგრის თავის თავ-გადასავალს. უკანასკნელი გულმოდგინეთ უგდებდა უურის და როდესაც მეჩოხემ გაათავა, მგზავრმა უთხრა:

— ერთათ წავიდეთ ქალაქში, მე ცოტა რამ საქმე მაქვს. მე იქ ბევრი ნაცნობები მუავს, გაგაცნობი იმათ და ბევრ სამუშავოს იმოვნი. ცოტა ხანძი იქნება გამდიდრდე კიდევ... მეჩოხეს ძლიერ იამა, მგზავრის მაღლობა გადაუხადა და გაიფიქრა: იქნება ვინმე დიდიყაცი არის ღარიბულათ ჩაცმულით. და გაუდგენ გზას.

## II

ათიოდე ვერსი რომ გაიარეს, ერთ მშვენიერ სასახლეს მიადგენ. ესოდან მოსამსახურე გამოვარდა და შეაუენა.

— რა ამბავია? — ეკითხება მგზავრი.

— ბატონისაგან ნაბომანები მაქვს, უკელა გამკლელ-გამოვლელი უნდა დაჭაუენო: იქნებ თქვენში მკურნალი იუოს ვინმე და ჩვენი ქალბატონი მოარჩინოს? ათი წელია, რაც ლოგინათ არის ჩავარდნილი. მთელი ქვეენის ექიმები სწამლობდენ და ვერა ეშველა-რა.

— ბატონს მოახსენე, თუ ღმერთი ინებებს, იქნებ მე მოვარჩინო-თქო, უთხრა მგზავრმა.

— «ეჲე! მე დიდი კაცი მეგონე! გაიფიქრა მეჩოხემ! —

გიცნობთ, გიცნობთ, რა შვილებიცა სართ ექიმები: სულ  
მდიდრებთან დაიარებით, ღარიბებს ზედაც არ შეხედავთ».   
ორივე აივანზე აიუვანეს. გამოვიდა ბატონი, რომელსაც მე-  
ტათ მკაცრი შეხედულობა ჰქონდა, ეტუობოდა ბევრი ლაპა-  
რაკი არ უვარდა.

— რომელია თქვენში ექიმი?

მგზავრმა თავი დაუკრა.

— შეგიძლიან, ავათმეოფეს უშველო?

— თუ ღმერთი ისურვებს, შევიძლებ.

— კარგი, მხოლოთ თუ ვერ უშველე, ხედავ იმ სახრ-  
ხობელას? იცოდე ჩამოგახრჩობ!

მგზავრმა და მეჩოხემ მხოლოთ ახლა დაინახეს ეჭოში  
სახრხობელა. მეჩოხე შიშისაგან აკანკალება. მგზავრი მშვი-  
დობიანათ იდგა. ორივენი ავათმეოფის საწოლ ოთახში შე-  
ივანეს. (მეზოხე ექიმის თანაშემწერი ეგონათ). მგზავრმა ვარც-  
ლი და ცივი წეალი მოითხოვა. გაატიტვდა ავათმეოფი,  
ჩააწვინა ვარცლმი და ცივი წელის სხმა დაუწეო... კარგა  
რო აბანა, გაამშრალა, ჩააცვა ტანთ და საწოლმი ჩააწვინა.

ავათმეოფი ხმაგამენდილი იქო, თითქო მომკვდარბო.  
მგზავრმა შეუბერა ერთხელ — ავათმეოფმა თვალები გაასილა,  
შეუბერა მეორეთ — ავათმეოფი წამოჯდა, მესამეთ რომ შე-  
უბერა — ოთახში სიარული დაიწეო, სრულებით მორჩა.  
ბატონს საშინლათ გაესარდა და მგზავრი სამი ტომარა ლე-



როთი დასახუქრა, მისცა ურემი თავის ცხენით და ჩესიტე-  
ვებით გაისტუმრა:

— გმადლობთ, კეთილნო ხალხნო, გმადლობთ!

მგზავრი შშვიდათ ისმენდა მადლობას, მეჩოსე-კი აძ  
სიტყვებმა გააგულისეს. მომეტებულათ სამ ტომარა ოქროს  
რომ ხედავდა შურით ევსებოდა გული.

— ნუ თუ ერთ მუწა თქროს მაინც არ მომცემს მგზა-  
რი? ფიქრობდა მეჩოსე.

### III

გაუდგენ გზას. იმათი საქმე კარგათ იუო: შშვენიერი  
გასუქებული ცხენი ამოდენა ბარგს ბუმბულივით მიარბევი-  
ნებდა. მეჩოსეს მაინც ბრაზი ახრჩობდა შურისაგან: «მე-კი  
ვერ ძოვახერხებდი ბერვას! რა დიდი საქმე იუო! მე მნე-  
ლი რამ მეგონა!.. მაგან-კი უბრალო ბერვით წამოაუენა  
აკათმუოვი ფეხსე, ფიქრობდა მეჩოსე — ნეტა კიდე მოგვე-  
ცეს შემთხვევა. იქნებ მე უცრო მეტი თქრო ვიძოვნო».

გაიარეს კიდევ ათიოდე ვერსტი. კიდევ შშვენიერი სასახ-  
ლე გამოეჭიმათ წინ. შევიდენ ეზოში. ხედავენ აქაც მოსამ-  
სახურე გამოსტა, ცხენს აღვირი დაუტირა, შეაუენა და უსხრა:

— მესდექით! ბატონისაგან ნაბრძანები მაქს — უველა  
გამკლელ-გამომკლელ უნდა დაგვუენო, იქნება მგზავრებში  
უქმდი გამოჩნდეს და ჩვენ ქალბატონს უმველოს რამე: ოცი



წელია ლოგინათ არის ჩავარდნილი, მთელი ქვეშის ექი-  
მები თავს ეხვია და კერავინ ვერა უშველა-რა.

მგზავრს რადაც უნდა ეთქვა, მაგრამ მეჩოხემ არ და-  
ცალა, თითონ დაუწეო ლაპარაკი მოსამსახურეს:

— ბატონს მოახსენე, მე ვარ ექიმი, თუ მოვინდომე  
მოვარჩენ კიდეც-თქო.

მოსამსახურე სახლში შებრუნდა. მეჩოხემ მგზავრს ზურ-  
გი შეაქცია და ფიქრობს:

— არა, მმობილო, ახლა ჩემი ჯერია. ოცი წლის ავათ-  
მეოვს უფრო მეტი წვალება არ უნდა? იქნება შენზე მეტი  
ოქრო ვიძოვო!

ორივე აიუვანეს აივანზე, საიდანაც ახლა თვითონ და-  
ინახეს ეზოში სახრიობელა. მეჩოხე შეკრთა, მაგრამ თავი  
შეიძაგრა და თვალი მოამორა... გაძოვიდა ბატონი ისეთი-  
ვე მკაცრი შეხედულობისა, როგორიც ჰირველი და დაეკითხა:

— თქვენში ექიმი რომელია?

მეჩოხემ ამაყათ დაუკრა თავი.

— შევიძლიან მოარჩინო?

— შემიძლიან, მაშ რის ექიმი ვარ? ოდონდ მოვინ-  
დომო და მოვარჩენ. განა ჰირველი შემთხვევა!

— კარგი, მაგრამ თუ არ მოარჩენ, იცოდე ჩამოგახრ-  
ხობ.

მეჩოხეს შიშისაგან ფერი უცვალა, მაგრამ თავი შეიკა-



ვა და ბატონს ავათმეოფთან გაჭერა... მგზავრიც უკან მის-  
ღვდა.

მეჩოხემ ვარცლი და ცივი წეალი მოითხოვა. გაატიტვ-  
ლა ავათმეოფი, ჩააწვინა ვარცლში და ცივი წელის სხმა  
დაუწეო. ავათმეოფი ჯერ ჰქვნესოდა, ბოლოს დახუჭა თვალები  
და ხმა ადარ ამოუღია. მეჩოხემ შეამშრალა, ჩააცვა ტანთ, ჩა-  
აწვინა ქვემაგებში და ბერვა დაუწეო. ერთხელ შეუბერა, ორ-  
ჯერ, სამჯერ... შეუბერა ათჯერ... ოცჯერ.— მაგრამ ავათ-  
მეოფს ვერა უშეღლა-რა. ის თავისთვის მიცვალებულივით  
იწვა.

მიღი-მოდის ჩვენი მეჩოხე, თავბრუ ესხმის საწეალის  
შიშისაგან, მივიდა ავათმეოფთან და ისევ ბერვა დაუწეო.  
უბერა, უბერა მთელი საათი, უბერა ნახევარი დღე, მაგრამ  
ავათმეოფს ვერა უშეღლა-რა. შეეხვეწა მგზავრს:

— რაუნა, როგორ შევუბერო? მიშეღლე, ღვთის გუ-  
ლისათვის! დამახრიხობენ.

— კარგი, გიშეღლი, მაგრამ ჯერ მითხარ, მესამე ოქ-  
ოო რა იქნა?

— არ ვიცი, დამერთს გეფიცები! მე არ ამიღია! მიშ-  
ეღლე რამე, თორემ ჩამომახრიობენ.

ამასობაში ბატონმა გაიგო, რომ ექმი ვერას გახდა  
და უბრძანა ჩამოეხრიოთ. მოაბეს კისერზე თოვი და სახრ-  
ხობელასთან წაათრიეს. უბედური მეჩოხე ტირის, უვედრება  
მგზავრს შეეღლას:

— შეუბერე, შენი ჭირიმე, რა დიდი საქმეა, თორებ  
დავიღუნე.

მგზავრი ისევ თავისას იძეორებს:

— ჯერ მითხარ, მესამე თქონ ვინ აიღო?

მეჩოხე მაინც არა ტედება. აი სახლითობელასთან მიათ-  
რიეს კიდევ, ის ისევ თავისას გაიძახის:

— არ ვიცი, არ ამიღია! ღმერთმანი, არ ამიღია! ბო-  
ლოს მგზავრმა შეიბრალა კერპი ქურდი და ბატონს ეუბნება:

— გაანთავისუფლეთ ეგ ებედური, მაგან სხვის საქმეს  
მოჰკიდა ხელი. მე მოგირჩენთ ავათმეოვს.

მეჩოხე გაანთავისუფლებს. მგზავრი ავათმუოვთან მივი-  
და. შეუბერა ერთხელ — ავათმუოვმა თვალები გაახილა, შე-  
ბერა მეორეთ — წამოჯდა, მესამეთ რო შეუბერა — სიარული  
დაიწეო.

ბატონი სისარულისაგან ფეხსე ვეღარ იდგა. მგზავრს  
ქვესი ტომარა ოქონო მისცა და საღილი გაუმართა. მრავა-  
ლი სალხი დაქსწრო ამ სადილს; ბევრი ღვინო სვეს, ბევ-  
რი იმსიარულებს. გადაჟყრა ჩვენმა მეჩოხემ და სტუმრებს  
ეუბნება:

— განა მართლა მაგან მოაჩინა. მაგან მარტო სამ-  
ჯერ შეუბერა. მე გავხადე, ჩავაწვინე ვარულმი, წეალი ვას-  
ხი, გავამშრალე და ისევ ლოგინმი ჩავაწვინე. მაგის აწევ-  
დაწევით აქამდის სელები მტკივა.



— მართალია, უთხრა მგზავრმა: — შენ მომეტიებული ჯაფა მოგივიდაო.

სადღლს შეძლებ ცოტა შეისვენეს და ისევ გზას გაუდგენ. ცხრა ტომარა ოქრო მიაქვთ თან და მეჩონეს შერით გული უსივდება.

## IV

ოთხიოდე ვერსი რომ გაიარეს, ერთ მდინარეს მიადგენ. გზა მდინარის გაღმა გადიოდა. არც ტივი იუო, არც ნავი. რით უნდა გასულიერებ მეორე ნაპირს. მდინარე ღრმა და შეტათ მალი იუო.

— რა გვეშეელება? — დაეკითხა მეზონე მგზავრს.

— აგერ, ქვასა ჭიედავ? იქ უთუოთ ნაწისქვილაბრია, წავიდეთ იქით. მართლა შორი-ახლოს ერთი რიგალი ქვა ებდო.

მგზავრმა ქვა წეალში გადააგორა, ზედ ცხენიანი ურე-მი შეაუენა: ქვა დაიძრა, მეორე ნაპირს გადაიტანა ეკელა-ფერი და უკან დაბრუნდა.

— ახლა ჩვენი ჯერია. — თქვა მეზონემ.

— მოიცა, ჩვენ ერთათ ვერ გადავალთ. მე მალიან მმ-მე ვარ და შენც რომ ქვაზე დადგე, დაგვერიავს. ჯერ შე გადავალ.

— არა ჯერ მე!



— კარგი.

მეჩოსებ პირველმა იძისთვის მოინდომა გადასვლა, რომ  
ეძინოდა — ვაითუ მგზავრმა აღარ დამიუბადოს და მთელი  
ოქრო თითონ წაიღოსო. ამიტომ მარტათ შესტა ქვაზე,  
ქვა დაიძრა და შეა მდინარემდე მშვიდობიანათ მიუკრდა,  
აქ-კი ხაიუგრუელავა. მეჩოსე წელამდის წეალში დაიმალა  
და მორთო საძინელი უვირილი:

— მიშველე, ვიხრებით!

— გიშველი, შეოლოთ მითხარ, ვინ ამომართვა მესამე  
ოქრო?

— არეიცი, ღმერომანი, არეიცი! მიშველე, გეთაუება,  
ვიხრებები!

— მითხარ, ვინ აიღო მესამე ოქრო?

— არ ვიცი, არა!

მეჩოსე თავამდის წეალში დაიმალა, შეოლოთ ქოჩორი  
და უჩანდა. მგზავრს შეებრალა, გაექანა პირდაპირ წეალ-წეალ,  
სტაცა ქოჩორში ხელი, ამოათოია და ციმციდ მეორე ნა-  
ზირას გადაარბევინა. მეჩოსე მალე გაშრა. ჩასხდენ ისევ ურე-  
ში და გაუდგენ გზას.

— იცი რა გითხრა, — ეუბნება მგზავრი: — მოდი მენ  
წილ ოქროს ჩაგაბარებ და თავიდან მომშორდი. ქალაქში  
არ წამოგევები. ახლა იმოდენი ოქრო გაჭის, რომ იქნება  
მუშაობა აღარც-კი მოინდომო.

მეჩოხეს ძალიან გაეხარდა. აქამდის იმედი არა ჰქონდა, თუ მგზავრი ოქროში წილს ჩაუდებდა. თვალები სიხარულისაგან აენთო, ხელებმა ცახცახი დაუწეუს. დაუენეს ცხენი და ურმიდან ჩამოვიდენ. მგზავრმა ტომრები დაცალა, მთელი ოქროები ერთ გროვათ მოაქუჩა. ოქრო არე მარეს რამდენსამე კერსტზე ისეთ მუქსა ჰქონდა, რომ თიქთო დედმიწაზე მზე ჩამოვარდნილათ. მეჩოხე ერთ ალაგას გაძეშებული იდგა, თვალი კერ მოემორებინა ოქროსთვის, მთლათ ცახცახებდა და წამდაუწუმ ტუჩებს ილოკავდა. მგზავრმა მთელი ოქრო სამ ნაწილათ გაჭირ.

— რათა ჸეოვ სამათ? — დაეკითხა მეჩოხე. — ჩვენ ორნი არა ვართ?! მესამე ნაწილი ვიღიასია?

— მოიცა, ახლავე გაიგებ!

მგზავრი ცდილობდა თანასწორათ გაენაწილებინა ოქრო. მეჩოხე-კი, როცა მგზავრი ერთ ნაწილს მიუბრუნდებოდა, მეორე ნაწილიდან სტაციებდა ოქროს ხელს და ჯიბები იწყობდა. გაათავა მგზავრმა განაწილება და მეჩოხეს უთხრა:

— აი ეს გროვა მე, ეს შენ და მესამე იმას, ვიჩც მე ოქრო ამომაცალა ქისიდან.

მეჩოხეს საშინლათ შერცხვა, მაგრამ რაღას იზამდა, რომ არ გატეხილიერ, მესამე გროვას კერ მიიღებდა.

— მე ამოგაცალე მესამე ოქრო!..

მგზავრმა გაოცებით შეჭირდა.

— ღმერთმანი მე!

— როდის, კაცო?.. როგორდაც არა მჯერა!

— შენ რომ გლეხთან გზის საკითხთ წახვედი.

— აბა, მიჩვენე ის ოქონ, მე ვიცნობ!

მეჩოსემ წალას ხელი გაიკა, უნებურათ ჯიბეზე მოჭვდა ხელი და, დახე უბედურებას! ნაარავი ოქონ გადმოცვიდა...

— ე, ე! როგორცა ვხედავ შენ ბლომათა გქონია ოქონ! დაიძახა მგზავრმა:—საიდან კაცო?

მეჩოსე შერცხვენილი იდგა და ჰასუს ვერ ასერხებდა.

— იყი რა გითხრა, ჩანს ოქონს შენ მალიან უკვარსარ, თორემ ერთათ არ ვისხედით ურემში, ჩქაც ერთათ არა ვართ, რაღა შენ ჯიბეში ჩაცვიდა ოქონები? არ მინდა მე ოქონ, სულ შენი იუს!

თქვა თუ არა, მგზავრი გაქრა. მიჭვარდა მეჩოსე ოქონებს... სადღაა ოქონ?! ოქონს მაგივრათ საძი ვროვა ჰატივი და ნაცავ-ნამომბალი ექარა. დაუცა საცოდავი დედა-მიწაზე, საძინელი ტირილი მორთო და — გამოედგიძა.

V

საშ ეს სიზმარი იუო?!...

ახ, და მერე როგორი ცხადი სიზმარი. მეჩოსე გრევა სანს უურებოდა აქეთ-იქით, ემებდა საიდემლო მგზავრს... ოქონ თითქო ისევ შუქსა ჭვენდა თვალებში, თითქო

ମୁଖ୍ୟରୀଙ୍କିର୍ଷିରେ ବିନ୍ଦୁମହିଳା... ମୁଖ୍ୟରୀଙ୍କ ଅର୍ପ ମୁଖ୍ୟରୀଙ୍କ ରୁ  
ଅର୍ପ ଅନ୍ଧରେ ଅନ୍ଧରେ ରୁ... ମନ୍ଦିରରେ ପାର୍ଵତୀଙ୍କ ପାର୍ଵତୀଙ୍କରେ  
ମିନ୍ଦରୀଙ୍କ, ମନ୍ଦିରରେ ମନ୍ଦିରରେ, ମନ୍ଦିରରେ ମନ୍ଦିରରେ  
ଭାବରେ-ଭାବରେ-ଭାବରେ-ଭାବରେ-ଭାବରେ-ଭାବରେ-ଭାବରେ-ଭାବରେ-

ରୋଗରେ ରୋଗରେ, ରୋଗରେ, ରୋଗରେ, ରୋଗରେ, ରୋଗରେ,  
ରୋଗରେ-ରୋଗରେ-ରୋଗରେ-ରୋଗରେ-ରୋଗରେ-ରୋଗରେ-ରୋଗରେ-ରୋଗରେ-

ବିନ୍ଦୁ,

(ରୂପଚିତ୍ରାଳୀଙ୍କରଣ)।



კატა და მისი ორ-ფეხა მეგობრები.


სამსარეულოში დადგეს კალათა. შიგ ახლათ გამოჩე-  
კილი წიწილები იუგენ. ცოტა სანს შემდეგ სამსარეულო-  
ში შეიხედა დიასახლისმა და დაინახა რომ კატას გადაებრუ-  
ნებინა კალათა და წიწილები ოთახში გაფანტულიუგენ.

შემ თახში კა-  
ტა გამოტიღიუო  
და მის გარშემო  
წიწილები შეიარუ-  
ლათ დახტოდენ და  
ერთობოდენ. ფი-  
სუნია თვალებს ბეჭ-  
ტავდა და კმავოვი-  
ლებით ღრუტენებ-  
და; ამწიწილებს ისე  
დახაროდა, თითქოს  
მისი ჭუტები უ-  
ფილიყოს.

ორ-სამ დღეს

შემდეგ წიწილები

წაასხეს სამსა - ეულოდან. კატა ნადვლიანთ უვლიდა გარშე-  
მო სახლს, თითქოს დაქებს წიწილებსთ და დიდხანს ვერ  
დაგიწებინა თავისი ფრთხისანი მეგობრები.



## საწყალი პატი.

(ოსური არავი)



ეო და არა იუო-რა, იუო ერთი საწყალი კაცი,  
 რომელსაც ერთი გამხდარი ძროხის მეტი არა გა-  
 აჩნდა-რა. საწყალი კაცი, ღილიდან საღამომდის  
 დაუსვენებლივ მუშაობდა და ცოლ-შვილს ძლივას არჩენდა.

ერთ საღამოს საწყალი კაცი მუშაობიდან დაღალულ-  
 დაწევეტილი მოვიდა შინ. ის იუო უნდა ვახმამი ეჭამა, რომ  
 ვიღაცამ კარები დაუკაუნა. საწყალმა კაცმა ვამოისედა და  
 შეეხმაურა, ვინა სარო?

— სტუმარი ვარო, მოქმა ხმა:

— სტუმარი ღვთისაა, შინ შემოდი ღვთის მოცემული  
 ჰურ-მარილი მიირთვიო, უთხრა საწყალმა კაცმა.

— შენი ძროხის სათხოვნელათ მოვსულვარ, თუ მაჩუ-  
 ქებ შენს ჰურ-მარილსაც ვჭამ, თუ არა და არაო.

— კითხვაზე უყაცობავთ არ ვიუო და, ვინა სარ, რა  
 კაცი სარ? მაცნობე შენი ვინაობაო, ჰქითხა საწყალმა კაცმა.

— წმიდა ვიორები ვარო, უასეუნა სტუმარმა,



— ო, შენი ჭირი შევტამო, შესძახა საწელმა კაცმა, ჩემი თავიც შენი ჭირისანაცვლო იქოს, მაგრამ, შენ მოოხა როგორ გაჩუქო, როდესაც ისეთი ცოლი შემახვედრე, რომ \*) იმის სივ-სიანჩლით აღარც მეზობელი-მოკეთე მიღება ახლო და აღარც მტერ-მოუგარეო; ვერა, ვერა, გული ისე მტკიფა, რომ თხოვნას ვერ აგისრულებო.

— მაძ დამე მშვიდობისაო, გაბრუნდა წმიდა გიორგი და გასწია.

საწელმა კაცმა ივახშმა და დაიძინა. მეორე დღეს ადგა და ჩვეულებისამებრ საქმეზე გასწია. საღამოძის იმუშავა და საღამოზე დაღალულ-დაწუმტილი მოვიდა შინ. ის იუ უნდა ვახშამი ეჭამა, რომ ვიღაცამ კარები დაუყაყუნა. კაცმა გარეთ გამოისედა და შეეხმაურა: ვინა ხარო?

— სტუმარი ვარო, მოესმა ჸასუხათ.

— სტუმარი ღვთისაა, შინ შემოდი და, ღვთის მოუტყული ჸურ-მარილი მიირთვიო, უთხრა საწელმა კაცმა.

— შენი მროხის სათხოვნელათ მოგსულვარ, თუ მაჩუქებ შინაც შემოვალ და შენს ჸურ-მარილსაც ვჭამ, თუ არა და ბრძო.

— კითხვაზე უკაცრავათ-კი არ ვიუო და, ვინა ხარ, რა კაცი ხარ? მაცნობე : შენი ვინაობა, თუ არა და, ისე აბა როგორა მთხოვ საჩუქარსაო.

\*) ოსების აზრით, ცოლის კარგის ანუ აფის შეხვედრა წმიდა გიორგისე აზის დამოკიდებული.



— წმიდა ილია ვარო, უნასეუხა სტუმარმა.

— ო, შენი ჭირი შევჭამო, ჩემ თავსაც შენ შემოგწირავდი, მაგრამ, აბა შენთავათ დაფიქრდი; შენ საჩუქარს როგორა მთხოვ, შენ ის ილია არა ხარ ტომარას რომ იღლიამი ამომახრევინებ ხოლმე და კარი-კარს მატარებ ჭრნახულის საძებნელათ? არა, არა ვერ გაჩუქებ ძროხას, რაც უნდა დამემდუროვო.

— მაშ დამე მშვიდობისაო, უთხრა ილიამ და გასწია თავისთვის.

საწყალმა კაცმა კვლავ ივახშმა და მოისვენა თავისთვის. გათენდა კიდევ, ახსენა დმერთი და კვლავ შეუდგა საქმეს. სადამომდის იმუშავა და სადამოზე კვლავინდუბურათ დაღალულ-დაწევტილი დაბრუნდა შინ. ის იუ ახსენა დმერთი, ჰური უნდა გაეტეხნა და ვახშმამი ეჭამა, რომ ვიღუპა კიდევ კარი დაბაჯუნა. საწყალმა კაცმა გამოიხედა გარეთ და შეეხმაურა: ვინა ხარო?

— სტუმარი ვარო, მოესმა ჸასუხათ.

— სტუმარი ღვთისაა, მობრძანდი და ღვთის მოცემული ჸურ-მარილი მიირთვიო.

— შენი ძროხის სათხოვნელათ მოვსულვარ, თუ მაჩუქებ შენს ჸურ-მარნლსაც ჭამ, თუ არა და არა.

— კითხვაზე უაცრიავათ-კი არ ვიუო და, ვინა ხარ, რა გაცი ხარ? გამავებინე შენი ვინაობა, თორებ ისე აბა როგორა მთხოვ საჩუქარსაო, უთხრა საწყალმა კაცმა.

— ღმერთი ვარ, ღმერთიო, უნასუხა სტუმარშ.

— ოქ, დიდებზ შენ, შენ გენაცვალოს ჩემი თავიც და ჩემი ცხოვრებაც, უკელა შენი წეალობაა, მიირთვი, მაგრამ ერთი ამასაც გთხოვ უფალო, რაც სიცოცხლე მაქვს შენგნით დაწერილი, ერთი დღე მაინც მომიმატე იმასაო, უთხრა საწეალმა კაცმა.

— არა, რაც ჩავაწერინე ანგელოზებს დაფთარში, იმის აღარ შევცვლიო, უბრძნა ღმერთმა.

— მაშ რაც გინდა დამენდურო, კორც მე გახუქებ მოსახო, უნასუხა საწეალმა კაცმა.

ღმერთიც გამოემშვიდობა და გაუდგა თავის წმიდა გჲას.

საწეალმა კაცმა ივახმბა, დაიძინა და მეორე დღეს, დეთის მალით, ისევ შეუდგა თავის საქმეს. საღამომდის იმუჸა და, საღამოზე დაღალულ-დაწევეტილი კიდევ მოვიდა შინ. ის იუო აიღო პური ხელში, რომ ვიღაცამ კარები დაშავუნა. საწეალი კაცი სიხ-ქაროზე წამოდგა, კარი გააღო და შეეხმაურა: ვინა სარო?

— სტუმარი ვარო, მოესმა ხმა.

— სტუმარი ღვთისაა, შინ მობრძანდი, და, რაც ღმერთმა პურ-მარილი მომცა, შენც მიირთვიო.

— შენი მოოხის სათხოვნელათ მოვსულვარ, თუ მხეუქებ შენ პურ-მარილსაც ვტამ, თუ არა და არაო, უნასუხა სტუმარმა.

— რა ვქნა ვინა სარ, რა კაცი სარ? უკაცრიავთ-კი ვი-



უ და, პეტ შენი ვინაობა გამაგებინე, მერე რასაც ღმერ-  
თი მაგონებს იმას ვიზამო, უთხრა საწეალმა კაცმა.

— მე ძილი ვარ, ძილიო, უპასუეა სტუმარმა.

— ჭარ, შენი ჭირი შეკვამო, შენი, შენ ის ძილი ხარ,  
რომელიც უოველიფერს სისაწელეს, სიღარიბეს, დაღალუ-  
ლობას, სატკივარს, შიმშილ-წუჟოვილს, სიშიძვლე-სიტიტვ-  
ლეს, ერთის სიტეკით, უოველიფერ ვარამს დამავიწებ ხოლ-  
მე ერთი წამის ჩამინებითო? მიირთვი შენი ჭირიმე; ძროხა  
კი არა, ჩემი თავიც შენი ჭირისანაცვლო იქოსო.

ამნაირა საწეალმა კაცმა, ძილს თავის ძროხა აჩუქა,  
თავათ იგახშმა, ტკბილათ დაიძინა და რასაკეირველია, უო-  
ველისფერი თავისი გულის ბოლმა-ვარამი, ტანჯვა-წვალე-  
ბა, რამოდენიმე წამით ძილს ჩაბარა...

ქართველი ოსებში.



## ჭიქა და ფინჯანი.



ამზარეულოს მაგიდაზე ერთათ დაელაგებინათ  
თხელი ჭიქა და სქელი ქამანურის ფინჯანი.  
— მოძორებით დადეჭი, არ გამაჭტელია-  
ნო! ხომ იცი, რომ დიდი ბატონები სვამენ  
ჩემით სასმელებს და შენ-კი, თიხის ფინჯანო, უკანასკნე-  
ლი მოსამსახურე სარ. ამზარტავნულათ შეჭეკირა ჭიქამ თავ-  
ძღაბალ ფინჯანს, რომელმაც მორჩილებით უკან დაიწია  
და ისე ჩამომორდა ამაუ ჭიქას, რომ ხმაც არ აძოულია.  
ამ დროს მაგიდაზე შეხტა ჭრელი კატა და უეცრათ გადა-  
აძრუნა ჭიქაც და ფინჯანიც; ჭიქა სულ ნაწილ-ნაწილათ  
დაიმტვრა, ხოლო უბრალო ქამანურის სქელი ფინჯანი-კი  
სრულიად უვნებლათ და მშვიდობიანათ გადარჩა.

ბეს. ვაშაძე.

(რუსულიდან)

## მელის თან-გადასავალი.

(ზ ღ ა პ ა რ ი)

თვე VI



სე ამ გვარით ბაოუშმა კიდევ და-  
იმსახურია უურადღება მეფისა. ლომი  
დადგა მაღლობზე და სალხს სიტუა-  
ჟისრა: ეკელანი გარს შეიოჭიკო-  
დენ, მხოლოთ მელია იდგა დედოფ-  
ლის მარჯვენა მხარეზე.

— მოისმინეთ თქმენ, ეკელაშ  
განურჩეველათ, ფრინველნო და შეკ-  
ნო, მძლავრნო და სუსტნო, მდიდარნო და ღარიბნო—  
დაიწეო ლომმა.— როგორც იუთ ჩემს წინაშე გამოცხად-  
და მელია, რომელსაც ჩამოხრიობა გადაუუწევიტეთ კიდეც  
აკაზაკობისათვის. მავრამ საქმე იმაშია, რომ ამ გარეწარმა  
ბევრი რამ საუკრადღებო შემატეობინა, ბევრი რამ საიდუმ-  
ლო გამოამჯდავნა. მე მჯერა ეკელა მისი ნამბობი და  
დღესაც მისატივებია მისთვის ერველი შეცოდებანი ვნებითნი



და უნებლიერნი. მე იმედი მაქვს, რომ იყი გასწორდება; მას გადაუწევეტია კიდეც წასვლა მონასტერში სალოცავათ.

მჩხვანა ციცუნიამ გადაჭიედა ბოსვერას და საიდუმლოთ წასხურებულა:

— ასლა კოველიგე წახდა! დღდი განსაცდელი მობელის შემდა ჩვენ. ჯერ ერთი თვალით დაბრძავებული ვარ და შემდეგში ვინ იცის მეორე თვალითაც დაბრძავონ.

— ვნახოთ, გათენდეს დილა, უასროთ წაიბუტბუტა ბოსვერამ.

— ღმერთო ჩემო, რა საქმე არა ხდება ქვეანაზე, თქვა მგელმა. წავიდეთ უკელანი ერთათ და მეფეს უკელავერი მოვახსენოთ.

მართლაც უკელა მეფის წინ წარსდგა და გაცხარებით ლაპარაკობდენ მელის წინააღმდეგ. ლომეა განრისხებით უკელას შეუტია.

— ნუ თუ თქვენ ვერ გაიგონეთ, რომ მე მას უკელავერი ვანატივე! აქ მის დიდებულებას გაასენდა გარეწარის საამბობი და გასცა ბრძანება, რომ შეთქმულობის მოთავენი, ბოჭკერა და ტუჩა, შებოჭონ და სატუსაფოში უკან თავი. ასე ამ გვარათ უკელავერი შეიცვალა შეჩვენებული მელის სასარგებლოთ. თვითონ დაისხა თავი განსაცდელისაგან და მტრებს-კი დედა აუტირა. გარეწარმა ესეც-კი მოახერხა, რომ დათვის ჰალნიდან შევენიერი ჩანთა მოუქმნოვეს და საგ-



შაოთ უთავაზეს შეჩვენებულს. იგი ამასაც არ დასჯერდა  
და დედოფალს წაღებიცა თხოვა საკზაოთ.

— ტურას ორი წევილი წაღა აქვს და რა დღი ამ-  
ბავი იქნება, რომ ერთი წევილი მე მომცეს. ან ტურას მე-  
უღლეს რათ უნდა ფეხსაცმელი, ეგ როგორც დასახლისი  
უნდა მუდამ ქამს, ჩემი ცოლივით, სახლში ბრძან დებოდეს  
და ოჯახს უვლიდესო.

— რასაკვრელია ქმრია იმათვის თვითო წევილი ფეხ-  
საცმელი, ლმობიერათ უასეუსა დედოფალმა.

მელიამ ეშმაკურათ ჩაასველა და წაბრძანდა სატუსაღო-  
ში სეირის საუკრებლათ. მცელი თავისი მეუღლით და ბოს-  
ვერა ბორკილისაგან შეწუხებულნი კვნესოდენ. შეჩვენებულმა  
გულ-საყლავი დაუინვა დაუწეო.

— გმადღობთ, გმადღობთ საჩუქრისათვის, ღმერთმა  
თქვენი თავი მიცოცხლოს, ჩემო მვირფხნებო, ჩემო კარგე-  
ბო! ჸა, კარგი განა ქეიფი! იქეიფე გენაცვალეთ, იქე-  
ფეთ, ალალი იუგეს ჩემი პურ-მარილი თქვენზე.

მეორე დღეს მელია დიდებულათ გაუდგა გზას. ეშმავი  
წასკლის დროს ისეთნაირათ ტიროდა, ისეთი მსხვილი  
ცრემლი ჩამოსდიოდა თავის პატიოსან წვერზე, რომ მნახ-  
ველს ეპონებოდა მართლა ცოდვეების მონანებას შესდგო-  
მიაო. ის-კი არა თუ ამას სხვა რამ აწუხებდა: რატომ უვე-  
ლანი არ გავაძი მახემა და მარტო სამი რათ იტანჯება!

— ჸა, დროა ახლა-კი წავიდე, დაგვიანება სულს მიმმი-

მებს, დამშვიდებით თქვა გარეწარმა და დაძროა ადგილიდან.

მეფემ უბრძანა კარის-კაცებს მელის გაცილება კარგ დიდ მანძილამდის. ასე პატივითა სტოკებდა ეშმაკი სასახლეს. იგი მიაბიჯებდა წენარათ, მის სახეს ნათელი მოჟაფენოდა და უგელას ალერსიანათ უკრებავდა კბილებს. შეჩვენებული ისე ეშმაკურათ, ოსტატურათ ახერხებდა უკელაფერს, რომ უბედურ კურდღელს ცრემლებიც-კი მოუკიდა მელის დაფონებაზე.

— ჩემო მეგობარო, ჩემო კარგო, ნუ თუ ახლოვდება ქამი ჩვენის გაურისა? განა მე და შენ უნდა ერთმანეთს დავშეორდეთ? უჭი, რა საშინელი სიტუაა ეს სიტუა «დაშორება». მე სულ მინდა, რომ თქვენ გიცქიროთ, თქვენი მშვენიერი ნაზი ხმა მუდა ქამს ეალერსებოდეს ჩემს ცოდვიან უკრებს, ალერსიანათ უუბნებოდა ეშმაკი უურცესიტინას. თუ შეიძლებოდეს, ეს მაინც მიუკით, რომ შენა და უოჩმა სასახლემდის გამაცილეთ, ცოტა მომატებული დრო მაინც ვიქნები თქვენთან. საუკედურისა ნუ შეგემინდებათ. ლომს ისე მალიან უუვარსართ ჩემი ჩაგონებით, ისე მალიან, რომ თქვენს შზესა და მთვარესა ჰყიცუამს. ან ამა ვის არ შეუკარდებით თქვენ, მშვენიერნო, უწეინარნო: თქვენა სცხოვრობთ, როგორც მწირი უდაბნოსა, ხორცები თქვენ არ მიირთმევთ და თავს შეიცევთ მხოლოთ მწვანე ბალახითა და ფესოებითა. ჩემი ცოდვიანი სულიც ბევრს რასმე წასაბამავს იპოვნის თქვენში და შედავათი მომეცემაო.



გურდღელი და უოჩი, გვარათ ტვინთხელაძე, შესცდენ  
და გაიძვერას გაჯევენ სასახლეში.

— თქვენ ეზოში მიიარ-მოიაწეთ, მოსმოვეთ წმინდა ბა-  
ლახი, უურცეციტინა-კი წამოვიდეს ჩემთან სასახლეში, სა-  
ცოდავი ჩემი ცოლის სანუგემებლათ. საწუალი დარღებისა-  
გან სულ მთლათ დამმარებულია. ახლა რომ ვაიგებს, რომ  
მე მონასტერშიაც მივდივარ სალოცავათ; უარესი მოუვა სა-  
ცოდავს. ასე მოატეუა ორივე თავისი ალერსიანი სიტუაციით:  
ტვინთხელაძე ეზოში დასტოვა და გურდღელი-კი წაიუვანა  
სახლში.

— მე სიკვდილით დასჭა მქონდა, უთხრა გარეწარმა  
თავის მეუღლეს, მაგრამ ჩემმა ალალ-მართლობამ გასჭრა  
და მევსმ უყელაუერი მაპატივა. ეს ცანცალა გურდღელიც  
შენ გამოგიგზავნა საჩუქრათ და როგორც გინდოდეს ისე  
მოისმარე იგი. ესეც ნუ დაგავიწედება; რომ ამ უბედურმა  
ბევრი რამ იქორივანავა შენსე სასახლეში და ამისთვის სა-  
ჭიროთ მიძინენა მისი დასჭა, თქვა ეს ავასაკმა და ჩაუკი-  
რა თავისი ბასრი კბილები უნუგემო კურდღელს.

— მიშველეთ, მიშველეთ, ვინა ხართ ქრისტიანი, მკლა-  
ვენ, მიშველეთ, მიშველე შენ მაინც, ჩემო მევობარო, უვი-  
როდა საცოდავი კურდღელი.

მაგრამ ბევრხანს არ მოუხდა უვირილი. გარეწარმა მარჯ-  
ვეთ გამოუღრძნა საცოდავ სტუმარს უასერატო. მერე მთე-  
ლი ჭალაბობა შეუდგა ვასშმობას. შეჩვენებული სიუფარუ-

ლით აღზნებული შეცტეროდა თავის ბავშებს და ეუბნებოდა: — ჭამეთ გენაციალეთ, ჭამეთ, ბევრ ამისთანას მოგიტანთ. მე გველას ასე გადვუხდი, ვინც ჩემს წინააღმდეგ მოქმედობდა და ორმოს მითხრიდაო.

როდესაც კალაბმა გაიგო, რომ მისი გარეწარი ქმარი მონასტერები ააირებს წასკლას, ძალას დაფონდენ. მაგრამ გარეწარმა მალე დაამშვიდა.

— ნუ სწუხარ, ნუ სწუხარ, ჩემო კარგო, მე აქედან უქსაც არ მოვიცილი, თუმცა-კი მეფეს დავპირდი ცოდვებს მოვინანიებ-მეთქი, მაგრამ ახლაც როგორმე მოვატუებ მის დიდებულებას.

ამ დროს გაისძა ტვინთხელაძის ხმა.

— კურდღელო, გამოდი ჩქარა, როდემდის უნდა გიცარო აქ? დროა ახლა შინ წასკლისა. მელიამ გამოეო სასახლიდან თავი და ასე უთხრა:

— თუ თქვენი ნებაც იქნება, ჩემო კარგო, კურდღელი რამდენიმე დღით დარჩეს ჩვენთან, თქვენ-კი, თუ ასე ძალას გქრეარებათ, წაბრძანდით მარტოკა.

— რაჯწა? მე აქედან რაღაც უვირილი გამომესმა. კურდღელი შეელას მთხოვდა, თუ სმენა არ მატუებს.

— დიახ, დიახ, უპასუხა ცბიერმა, როდესაც ჩემმა ცოლმა ჩემი მონასტერები გამგზავრება შეიტუო საცოდავს გული შეუწედა. საწუალ კურდღელსაც ისე შეეშინდა, რომ მოჟევა სა-



ცოდავთ ევირილს: «ვინახართ მანდ, მიშველეთ, დეიდა-ჩემი კვდებათ; თვალები მიძნელდება, ჩემ დეიდასა კურგამო». როცა მოსულიერდა ჩემი ცოლი, მიიხურა თავისი თანა-მგრძნობი კურდღელი გულზე და დაუწეო კოუნა. ამის მნა-ხველს მეც გული ამიღელდა და მეცოდებიან, რომ ახლა ესენი ერთმანეთს დავამორო. ვინემ ესენი ალერსში და მუსაიფში იუგენ. მე წერილები დავამზადე მეფესთან. თქვენ უნდა წაუდოთ ეს წერილები. იგი თქვენ უმშველათ დაგა-საჩუქრებთ და მადლობას შემოგწირავთ. დარწმუნებული ვარ, რომ ბოტ-ი ხათ გაგამწესებთ.

ტვინთხელაძემ დაიჯერა ეს ზღაპრები. გარეწარი მაშინ-ვე შევიდა ოთახში, წარიავლო ხელი ბოჭვერას ტუავისაგან გაკეთებულ ჩანთას, შიგ ჩადო კურდღლის თავი, ბაწრით მაგრა შექვრა და გამოუტანა ეოჩს.

— ახლავ გილოცავ სამსახურში წარმატებას, თუ ვი-ნიცობაა ამას კარგათ შეასრულებ, უთხრა შეჩვენებულმა.

ეოჩი სიხარულით შეხტა და შეინახარდა.

— რაღა თქმა უნდა, რომ შევასრულებ და თან ამასაც დავაუღლებ, რომ ამ წერილების დაწერაში მეც წილი მი-მეს-მეთქი. ღმე, უკელას შეიტყოს, რომ თქვენს უმორჩი-ლეს მონასაც არ აკლია ნაპერწკალი შეკრ-მეტუკელობისა. აბა, მშვიდობით, ჩემო საუკარელო მელიავ! მე ახლა უფრო დავრწმუნდი, რომ თქვენ ჩემი სიუგარული დიდათ გაქვთ.

— მშვიდობით, მშვიდობით, ჩემო ბოტავ, ჩემო ტვინ-თხელაძე, ეუბნებოდა შეჩვენებული დიმილით.

შეადლისას უოჩი კიდევაც გამოცხადდა მეფესთან.

— ბატონმა მელისმ დამსჯალა ამ წერილების ჩაბარება, უთხრა ტუტუმა შიკრიქმა მეფეს. ამ წერილების შედეგენაში მეც მივიღე მონაწილეობა. რაც-კი რამ კაი აზრია მანდ, უკეთ მე მეტყვნის.

— ლომება დაისარა მდივან-ბეგი ციცუნია და უბრძანა ჩანთის გახსნა. ციცუნიამ გახსნა და მის დიდებულების შესაძლებლათ იქიდან საცოდავი კურდღლის თავი ამოიდო.

— შეჩვენებულმა აკი კიდევ არ მომატეუა? — სასოწარ-კვეთილებით შეჭერია მეფემ.

— რათა? რისთვის დავუჯერე იმ დაწევლილს და ჩემი ერთგულნი უმანი — ბოხვერა და ტუჩა ჩავუარე სატუსაღოში. წადით ამ საათში და გამოიუვანეთ იგინი იქიდან. რაც შეეხება ამ უტგინო უოჩს — იგი უკეთა თავისი ჩამომავლობით გარდომომიცია საშვილიძეილოთ უდანაშაულო ტეპებისთვის. შეჩვენებული, ტრაბახობს კიდეც, რომ კურდღლის ჟევლელობაში მონაწილე უოფილა?

ბოხვერა და ტუჩა მაშინვე გაანთავისუფლეს და დაჭვირდენ, რომ უკელაფერს დავიწევბას მივცემთო.

ამ გვარათ დამუარდა შევიდობა. უოჩი გადასცეს მკელსა და დათვს. მას აქეთია, რაც უოჩის მოდგმას მოსუნება არა აქვს ამათვან. ლომებაც თავი გამოიდო და უბრალოთ დატანჯული ტეპების ჩატივსაცემათ დიდი მეჯლისი და წევულება გადიხადა...

ალ. ნათაძე.

(შემდეგი იქნება)

## პატარა დედოფლი.

I

გაუმარჯოს დედოფლის.



ალაქის გალაენში შემოიქოლა სა-  
მეფო ეტლმა და გაუხერა დიდ მო-  
ედნისკენ. მის კოფოზე ამაყათ გა-  
მოჭიმულიყვენ მეფის ხელზე მოსა-  
მსახურე და მეეტლე. ეტლში იჯდა პა-  
ტარა გოგონა, ცარკოვის სამეფო ტახ-  
ტის პემკეიიღრე თერთმეტის წლის ნასკა;  
მის წინა სკანზე ისხდენ ორი სასახლის  
სეფე ქალი. პატარა დედოფლალს აქეთ-  
რქათ თაეს ადგნენ ორი მოსამსახურე და  
რიგ-რიგათ უჩრდილებდენ ძერფასი სა-  
მზეურით.

ყოველ დღე ასე დაასეირნებდენ საყვარელ დედოფლალს მისი  
მახლობელნი და ამ დღესაც ჩეეულებრივი სეირნობის შემდეგ იგი  
სახლში ბრუნდებოდა. თუმცა მეტათ პატარა შეხედულობისა იყო,  
მაგრამ ტანზე ათასნაირი ძეირფასი სამკაული ეცვა და გარედან მძი-



მე ბეწვიანი წამოსასხმელი ესხა, ამასთან ისე ამაყათ გამოჭიმულიყო ეტლში, როგორც შეეფერებოდა თვით მპყრობელ დედოფალს: ძეირფასი ბუმბულებით მორთული, განიერ კალთებიანი შლიაპა ნა-სკერათ ჰეთაედა იმის ნაზ, ფერ-მქრთალ სახეს. საზოგადოთ მას მე-ტათ დაფიქრებული შეხდულობა ჰქონდა, თითქო ამ პატარა არსე-ბას უკვე გამოეცადნა მჩიმე ტანჯეა-წევალება და ისე შესჩევოდა მას, რომ აღარაფერი უკვირდა. თვისი დაფიქრებული თვალებით უკვე-ლას და უკელაუერს გულ-გრილათ უყურებდა, ერთის სიტყვით მის ყოფა ქცევაში არაფერი ბავშური არა იყო-რა.

ერთმა სეფე ქალთაგანმა — გრაფინია როზენბერგმა, ლამაზ კე-თილ ცისფერ თვალებიან ყმაწვილმა ქალმა, ძლიერ გამედა და შე-ჰქადრა დედოფალს:

— იქნება გცივათ, თქეენო უღიდებულესობავ, ჰაერი ისე... აქ ყმაწვილი ქალი შეკრთა — შეჩერდა. რაღვან დიდი ხანი არ იყო, რაც ის სასახლეში სეფე ქალათ დანიშნეს, ამიტომ შეეშინდა — ვაი თუ, რაც ვთქვი ჩემი საქმე არ იყოვო.

— დედოფალმა ნასკამ არა უპასუხა-რა და მხოლოთ გაოცებით შეხედა თავის ყმაწვილ სეფე ქალს.

— მის უღიდებულესობას სრულებითაც არა სცივა, მეტათ მკვა-ხეთ შენიშნა მეორე სეფე ქალმა — გერუოგ ალპენშტეინის ქერიემა.

გერუოგის ქერიეი ბებიდა იყო დედოფალი ნასკასი და ამიტომ მისი ყურის გდება და აღზრდა იმან იკისრა და ათი წლის განმავ-ლობაში, რაკი ნასკა დაობლდა და დედოფლათ გამოაცხადეს, სულ გერდიდან არ მოშორებია. იმ დღიდან რა დღესაც ნასკამ ლაპარა-კი დაწყო გერუოგის ქერიეი სულ იმის ცდაში იყო, რომ მისი გაზრდილი ამაყ და თავ დაჭრილ დედოფლათ გამოეზარდა.

პატარა ნასკას არც ერთ ღროს არ ვალერსებოდენ ისე, რო-გორც სხვა ბავშებს ვალერსებიან ხოლმე და როდესაც ის ტირილს დაწყებდა, მაშინვე შემდევი სიტყვებით შეაჩერებდენ: — დედოფალს ტირილი არ შეჰვერისო!



ამ სიტყვებმა დიდი გავლენა იქინიეს პატარა ბავშვებ, მას მეტად აღრე გაეხსნა გონიერა, მალე გაადამიანდა.

ეტლი გაუთანასწორდა დიდ მოედანს. უცებ მეტლებ ისე სწრაფათ შეაჩერა ეტლი, რომ დედოფლის უკან მდგომი მოსამსახურე კინალაშ ყირამალა გადავარდა. ნასკამ არ იცოდა, თუ რათ გააჩერეს ეტლი და გაოცებით მიიხედ-მოიხედა. სასახლის ვეზირი (მინისტრები) საჩაროთ მიუახლოვდა დედოფალს, მძიმეთ თავი მიწამდის დახარა და მდაბლათ მოახსენა:

— თქვენი უდიდებულესობავ, კეთილ ინებეთ და მაპატივეთ ასეთი სითამამე, რომ უცებ შევაჩერე ოქვენი ეტლი. ამ წამს მედანთან თქვენი გაელა არ შეიძლება.

— რატომ? დაეკითხა ნასკა.

ამ კითხვამ გააშტერა ვეზირი — მან არ ცოდა რანაირი პასუხი მიეცა დედოფლისთვის.

— ეს თქვენ არ შეგვერით, თქვენი უდიდებულესობავ! გაიმეორა მან და ჩუმათ რაღაც უჩურჩეულა გერცოგის ქერიეს.

— ნება მომეცით, თქვენი უდიდებულესობავ, ვუთხრა მეტლეს, რომ გაკვატაროს წყლის პირის ქუჩაზე და არა მეიდანთან. წარმოთქვა გერცოგის ქერიემა მტკიცეთ, თითქოს ბრძანებით.

ნასკა მიუბრუნდა ბებიდას და კარგა ხანს უცქირა თავისი დიდი დაფიქრებული თეალებით და შემდეგ უპასუხა:

— უთხარით მეტლეს რომ მეიდნისკენ გაიაროს.

ყოველ დროს ნასკა ბებიდის ნებაზე დადიოდა. ეს პირველი იყო, რომ ის უარს ეუბნებოდა თავის აღმზრდელს.

ეტლი გაექანა მეტადნისკენ. გერცოგის ქერიეს ცხადათ ეტყობოდა, რომ ის თავს შეურაცხოფილათ თვლიდა.

უცნაური სანახავი წარმოუდგა პატარა დედოფალს თვალ წინ: მთელი მოედანი გატენილი იყო ხალხით, შუა ადგალს კარგა ბლობი ადგილი ეჭირათ ბრჭყვიალა ქუდებიან ჯარის-კაცებს და დანარჩენი მეიდანი საესე იყო ხალხით: იქ მოგროვილიყვენ ცხერის და

თხის ტყავის ტანისამოსიანი მწყემსეა, ფეხშიშეელნი დიდი კოშჩ-ლებით ხელში, ქალაქის მცხოვრებნი სხვა-და-სხვაფერ ტანისამოსში



აჭრელებულნი. იქვე იყვენ ქალები ძვირფას ტანისამოსში გამოწყობილნი, აგრეთვე სხვა და-სხვაფერ ჩაღრებში გახევულნი.

ხალხმა გზა დასცალა, რომ დედოფლის ეტლს თავისუფლათ გაევლო და ამავე დროს გაისმა ერთ ხმათ აღტაცებული ხმა დედოფლის შესახევდრათ.

ეტლი დაიძრა და როდესაც მიუახლოედა იმ ადგილს, სადაც ჯარის კაცები იღვენ, უცებ გაისმა ნასკას წმინდა წკრიალა ხმა:

— შეჩერდით!

ეტლი სწრაფათ შეჩერდა. ხალხმა სული განაბა. ყველას თვალი ჰატარა დედოფლის შესცეკროდა.

— ის რა არის? იკითხა დედოფლალმა და მიუთითა შუა მეიდნისკენ.

სწორეთ შუა ადგილს მოედანზე ამართული იყო ორი ბოძი, ზედ გადებულ ხეზე ჩამოკიდებული იყო ორ-კეცი სხეილი თოკი. ძირს კიბე იღვა, რომელიც თოკის წვერთან თავდებოდა, ერთ



ბოძთან იდვა შაე-ნიღაბ ჩამოფარებული კაცი; რამდენიმე ნაბიჯით  
მოშორებით შაე ანაფორაში ჩატულ ღვდელს ეჭირა დედაკაცი,  
რომელიც საცოდავათ მთლათ კანკალებდა. საწყალი დედაკაცი, ისე  
გაყენითლებული იყო, როგორც მომაკედავი; გრძელი, შაეი თმა  
მთლათ გასწეროდა, ხელები შეკრული ჰქონდა.

— ეს რას ნიშნავს? გაიმეორა დედოფალმა.

— თქვენო უდიდებულებობავ, მე აკი ვცდილობდი, რომ ეს  
უსიამოენო სანახავი თქვენ... მე... ლულლულებდა მინისტრი.

— ეს რა არის-მეთქი? მეორეთ წარმოთქეა დედოფალმა - რა  
უნდა უყონ ამ დედაკაცს?

— აის სახრჩობელაა, —უპასუხა გერცოვის ქერიემა —იმ ქალს  
ზედ ჩამოახრჩობდენ.

— ქალს ჩამოახრჩობდენ?!!

— დიახ, თქვენო უდიდებულესობავ! მაგ ქალს ჩამოხრჩობა  
აქვს გადაწყვეტილი. გერცოვის ქერიეი ისე ამაყათ და წარბ-შეკერით  
ელაპარაკებულდა დედოფალს, როგორც შეპერის განებივრებულ ბავში  
და დარწმუნებული იყო, რომ ნასკა თაეს მოიხრიდა მის წინაშე,  
მაგრამ შემცდარი იყო, მისი ლაპარაკის კილო არ მოქმედებდა პა-  
ტარა დედოფალზე.

— ეგ ყოვლად შეუძლებელია! გადაჭრით, ხმა-შალლა წარმო-  
თქეა ნასკამ. ფეხზე წამოდგა და თბილი ბეწვიანი წამოსასხამი გა-  
დიგდო ბეჭებიღან. ხალხი შეჯვულდა, ახმაურდა:

— გაუმარჯოს დედოფალს, შეპყვირა ხალხმა ერთ ხმათ. ამ ხმამ  
გამოაფხიზლა გერცოვის ქერიეი.

— ასე ერთ-ხმათ მხოლოთ გვირგვინოსანს შეხვდება ხოლმე  
ხალხი, გაიფიქრა მან,—ნასკა ხომ ჯერ გვირგვინ ნაკურთხი არ  
არის, ეს მხოლოთ ტახტის მემკვიდრეა და თუ-კა მოინდომებს ხომ  
აკურთხებენ კიდევ! რაღა ვიქნები მე მაშინ! რაღა ყურის მგდებელი  
ენდომება თვით მპყრობელს!.. ახლა-კი თითქმის მე ვარ დედოფალი!

— დავიჯერო უკვე მოვიდა დრო? გაიფიქრა გერცოვის ქერიემა.

— ბოდიშს ეიხდი, თქვენო უდიდებულესობავ, წარმოსთქვა მანეე უფრო ტყბილათ — და მოგახსენებთ, რომ ყოვლად შეუძლებელია თქვენ გაერიოთ ამ საქმეში. ეგ უკვე გადასწუვიტა უმაღლესმა საბჭომ.

ნასკამ გაბრაზებით შეხედა ბებიდას, მისმა მუდამ დამშეიდებულმა თვალებშა გაჯავრებით გაიყლეს და მყრთალ ლოცებზე ალისფერმა გადაჰკრა.

— მე გეუბნებით, რომ იმ ქალს ვერავინ ჩამოახრიობს, გაცხარებით წარმოსთქვა მან. ისინი...

საშინელმა ხვალმა ნება არ მისცა კეთილ ბაეშს, რომ სიტყვა დაესრულებინა. გერუოგის ქერივი დაფეთებული მიგარდა დედოფალს და თხოვნით შეეველრა:

— გევედრებით, თქვენო უდიდებულესობავ, დამშეიდდით! მაგნაირი ალელვება მაწყინარია, თქვენი ჯან-მრთელობისთვის. ამას გარდა ხალხმა რომ გაიგონოს... ეს რა ამბავია?

ხალხი შეჩერდა, ხმაურობას უმატა.

— წაიყვანეთ აქედან, არ შეიძლება მავის აქ დარჩენა! — ყვიროდა რაღაზედაც გაბრაზებული ხალხი.

— არა, არა! გაისმოდა სხვა მხრიდან.

— გაუშეით, ნება მიეცით მიეიღეს დედოფალთან, — გაუმარჯვოს დედოფალს.

დედაკაცი, რომელიც სახრიობელასთან იდგა, რაც ძალი და ღანე ჰქონდა იწევდა მეიღნის ერთი კუთხისკენ. მღვდელი და შავნიღაბ ჩამოფარებული კაცი ცდილობდენ მის დაჭერას, შავრამ ის მაინც იწევდა, მისი შავი თვალები აღტაცებული, ხარბათ გაიცემარებოდენ ვიღასკენაც; მის სახეზე იხატებოდა გამოუთქმელი სიყვარული, სიმაყე, შიში და მწუხარება.

პატარა დედოფალს, რომელსაც თავის დღეში მწუხარება არ ენახა, გული მოუკლა ამ ქალის დანახვამ, ის თვალს არ აშორებდა საცოდავ დედაკაცს. ნასკამ მოიხმო ერთი აფიცერი, რომელიც სალდათებთან იდგა და ჰკითხა:

— ეს უცქერის ის დედაკაცი?

— თავის შეილს, თქვენი უდიდებულესობაე, უპასუხა აფიცერ-მა თავმდაბლათ — ბავშიც ცდილობს რომ დედასთან მიეიდეს.

— აქ მოიყვანონ ბავში! — უბძანა აუცერს ნასკამ.

აფიცერმა თავი დაუკრა, გაპროუნდა, მიიხმო ორი სალდათი და გადასკა მათ დედოფლის ბრძანება. ერთ წამს შემდეგ ნასკას მოესმა ბავშის ყვირილი, ბურტყუნი და დაინახა რომ ჯარის-კაცები მოათ-ჩეცდენ პატარა, ხუთისა თუ ექვსი წლის ვაჟს, რომელიც თავით ფეხამდის ცხერის ტყავისაგან შეკერილ ტანისამოსში იყო გამოწყობილი. ისეთი ვ-ჭკაცური შეხედულება ჰქონდა ამ პატარას და ისე ღონივრათ იგერებდა ჯარის-კაცებს, რომ ის უფრო მეომარ გმირს მიაგადა მინამ ექვსი წლის ბავშს. ჯარის-კაცებს უნდოდათ ბავში დაეჩოქებინათ დედოფლის წინ, მაგრამ ის მაგრათ და ამაყათ იდგა და არა ნებდებოდა; კრიჭა შეეკრა, ხელები დაემუჭა და მხოლოდ თვალებზე მომდგარ ცრემლებს კერ იმაგრებდა.

— მუმსკი! შეჰყერა ბავშმა გაბრაზებით და თან ხეწინით — მუმსკი! გაიმეორა მან, რომლითაც თითქო, სახრჩობელისათან მდგომ დედაკაცს საყვედურს ეუბნებოდა, რატომ არ მოდიხარ ჩემთანაო.

— ამისსწორი რა სთქვა? იყითხა ნასკამ.

— ეს თავის დედას უძახის, თქვენი უდიდებულესობაე! მოახ-სენა ჯარის-კაცმა.

— ოჰ, ღმერთო! წარმოთქვა ნასკამ, რომელსაც რაღაც უცნაურათ აუძგერა გული ბავშის საკოდაობამ — გაიგონე ბავშო, მი-უბრუნდა ის ბავშს, ნუ გეშინია! მე მაგათ ნებას არ მიეცემ, რომ დედა მოვიკლან, არაფრის გულისთვის! გესმის პატარაე?

ბავშმა შეხედა ნასკას თავის ცრემლიანი დიდი შავი თვალებით, რომელშიაც რაღაც გაუგებარი მწუხარება იხატებოდა.

— მუმსკი — კიდევ შეჰყერია მან, — მუმსკი!

— ესმის რასაც გელაპარაკები ბიჭი, მოუთმენლათ წარმო-თქვა ნასკამ, — ვერ გაიგე ჩემი სიტყვები? მე ვარ დედოფალი და

ნებას არ მიგცემ რომ დედაშენი ჩამოასრულო... მე... მაგრამ თეშს არა-  
ფერი ესმოდა, არ იცოდა რა ენაზე ელაპარაკებოდენ და რაც ძალი  
და ღონე ჰქონდა ცდილობდა, რომ გაშეებოდა ხელიდა ჯარის-კა-  
ცებს, თან ყვიროდა:

— მუშაკი! მუშაკი!

აქ-კი ნასკამ ეელარ მოითმინა და გადმოხტა ეტლიდან. ის თუმ-  
ცა თერთმეტი წლისა იყო, მაგრამ როგორც დედოფალს გრძელი  
და ძერფას არშეიბინი კაბა ეცვა. ეტლიდან გადმოხტომის დროს  
არშეიბი წამოედო რაღას-ც და კინალამ წაიქცა.

— გაუშეით ხელი! შეჰყვირა დედოფალმა, მოჰკიდა ბაეშის გა-  
შეებულ ხელს თავისი ნაზი ხელები და გაეშურა სახ'აჩინბელასაკენ.  
როგორც კი ბაეშმა იგრძნო თავისუფლება, გამოსტაცა ხელი ნასკას  
და გაექანა დედისაკენ, დედაც გიფსავით მივარდა შეილს და დაუწ-  
ყო გაშეაგებული კოცნა. ისინი სრულიად ყურადღებას არ აქცევდენ  
მარტოთ მარტო დარჩენილ დედოფალს, რომელიც გავირვებით  
შესცემოდა დედა-შეილს. ის კარგათ ხელავდა რა ბეღნიერება იხა-  
ტებოდა დედა-შეილის სახეზე, ხელავდა დედას, რომელიც გამგელე-  
ბული ცდილობდა დაეწყვიტა თოკები, გაეთავისუფლებინა ხელები და  
მოხეენოდა თავის საყვარელ შეილს. ნასკას ეგონა, რომ სწორეთ  
ისეთივე თოკებით იყო მისი გული შეკრული, მოეჩვენა რომ ყელ-  
ში ბურთივით რაღაც ცხლათ მოაწეა და წამს თვალთ დაუბნელდა,  
ცრემლები მოადგა, მაგრამ ჩეცულებრივ თავი შეიკავა და გული  
გაიმაგრა.

— „დედოფალ ტარილი არ შეჰყერის. — გაიფიქრა მან.

შემდეგ, როგორც შეჰყერის დედოფალს, ის წელში გაიმართა,  
ამაყათ აიღო თავი მაღლა და გადახედა სასახლის მინისტრს და მე-  
ციხოვნეთა უფროსს, ისინი სწრაფათ გამოიჭიმენ დედოფლის წინ.

— უბრძანეთ, რომ ამ დედაკაცს ხელები გაუხსნან! ბრძანა ნას-  
კამ. მე ნებას არ, გაძლევთ, რომ ჩამოახრიოთ.

— ოჲ, თქვენო უდიდებულესობა! წაიბურებუტა მინისტრმა,



რომელიც ძლიერ იბრუნებდა სულს, ეგ შეუძლებელია... შე-შე-  
შინიან...

— ეგ გადაწყვეტილება ყოველის მხრიდან წესიერია, თქვენო  
უდიდებულესობა! გაწყვეტინა მეციხოენეთა უფროსმა მინისტრს.  
სასჯელი გადაწყვეტილია.

— მე არ მოგცემო ნებას მაგ ქალის ჩამოხრმობისას — გაიმეო-  
რა ნასკამ.

— თქვენმა უდიდებულესობამ ხომ არ იცის რაშია საქმე — წარ-  
მოთქვა მინისტრმა. — ეგ არის — პალლა ბერბული, ცოლი პრასკე-  
ბის უფროსისა, ყაჩალების ბრძოსი, რომელიც...

— პრასკები თამამი და მეტათ თავ გასული ხალხი არიან, თქვე-  
ნო უდიდებულესობა! გაწყვეტინა ისე მეციხოენეთა უფროსმა.

— ისინი მთაში ცხოვრობენ, აქეე ჩეენ მეზობლათ, მიუვალ მთაში და  
ამ მეზაბლობით ისე თავ-გასულები არიან, რომ თქვენ ქვეშედო-  
შებს არამც თუ საცხოვრებელს ართმევენ, სიცოცხლესაც საშიშრათ  
უხდიან.

— ამ დედაკაცმა რა დააშავა? იკითხა ნასკამ.

— რას ბრძანებო, თქვენო უდიდებულესობა! ეგ ხომ ცოლია  
იმ კაცისა, რომლის ხელ-ქვეითნიც ათხრებენ ჩეენ საცხოვრებელს  
და ხოცევნ თქვენ ქვეშევრდომთ.

— თითონ მაგ ქალმა მოჰკლა, ან გაქურდა ეინმე?

— არა, თქვენო უდიდებულესობა, უპასუხა მინისტრმა, მაგ-  
რამ ეკ ქალიც ხომ სარგებლობდა იმ ნიერებით, რომელსაც მაგის  
ქმარი იტაცებდა და ამას გარდა ეერაფრით ვათქმევენეთ სად იმალე-  
ბა მაგისი ქმარი.

— თავი და თავი ის არის, თქვენო უდიდებულესობა, დაუმა-  
ტა მეციხოენეთა უფროსმა, — რომ ცოლის დასჯა ქპარსაც შეაში-  
ნებს და...

— დიდი უსამართლობაა ერთის დანაშაულისათვის მეორეს  
მოკეთა — უპასუხა ნასკამ!

სახრჩობელასთან ახლო ბევრ ხალხს მოეყარა თავი და როდე-  
საც დედოფლის უკანასკნელი ს-ტყვა გაიღონეს ერთ-ხმათ შეჰყვი-  
რეს: „გაუმარჯოს დედოფებს, გაუმარჯოს დედოფებს.“ მინისტრმა და  
ციხის უფროსმა ერთმანეთს გადახედეს.

— თქვენო უდიდებულესობავ, კეთილ ინებეთ და ცოტა მო-  
იგიქრეთ, შეჰქედა მინისტრმა.—ამოღენა ხალხის დამშვიდება აღვი-  
ლი არ, არის...

— მე ნებას არ გაძლევთ მაგ დედაკაცის ჩამოხტობისა! — კი-  
დევ წარმოთქვა ნასკამ.

— თქვენი უდიდებულესობაც, თითონ თქვენის ხელით მოაწერეთ თანხმობა მაგ დედაკაცის დასჯის ქაღალდს — თავ-დახრით წარმოთქმა მეცინოვნეთა უფროსმა.

— მაჩვენეთ ის ქაღალდი.

ნასკას მოართვეს ქალალდი, სადაც გარჩევით სამეფო ბეჭდის გვერდზე ეწერა: დედოფალი ნასკა. ნასკა ხელს აწერდა ყველა ქალალ-დებს იმ დღიდან, რა დღიდანაც შეიძლო თავის ხელით წერა, მაგრამ შინაარსს-კი არც ერთხელ არა კითხულობდა ხოლმე. შეხედა



თუ არა განჩინებას ნასკამ ნაკუწ-ნაკუწათ  
აქცია პატარა ხელებით თავისი ნაწერი და  
გადავუნდა სახრჩობელასკუნ.

ବ୍ୟାକୁମାରଙ୍ଗଳେ ହେଲେବୁଦ୍ଧିରୁ... ହେଲୁଗନ୍ଧିରୁ...  
କେ କାହାର ମିଶ୍ରତଳିଲୁଣ୍ଡି!

ნასკა მიუბრუნდა შევ-ნიღაბიან კაცს  
ოთა მტრძანა:

— အနောက် ဂုဏ်ဆောင်တဲ့ ပြောမှတ်ဖော်မှတ်များ!

როდესაც აასრულეს მისი ბრძანება დედოფალი უკან გამობ-



რუნდა. ოლტაცებული ხალხი დიდის მოწიწებით გზას უცლიდა. ეტო ლი დაიძრა. ხალხმა კიდევ ერთხმათ იგრიალა: დღეგრძელობა დედოფასო.

ნასკას აღარ უშოდა ხალხის ალტაცება, მას ათასწაირი ფიქრები გულს ულოვნებდენ. იმას თვალ წინ უდგა პატარა ბავში და მისი სიტყვები ცხადათ ესმიდა: „მუმსკი, მუმსკიო!“ არა შორდებოდა ნასკას იმ დედაკაცის სახე, რომელიც ისეთი გამწარებით იგლეჯდა ხელებს და ცდილობდა შვილის გულში ჩაკერას. ყველა ამას რომ წარმოიდგენდა ტანშავრიალებდა საცოდავ ბავშს. გრაფინია როზენბერგისამ სიურთხილით გაუსწორა თბილი წამოსასხამი და ალელ-ვებული ხმით უთხრა:

— მეშინიან, თქვენო უდიდებულესობავ, არ გაციედეთ.

დედოფალმა შეხედა თავის ყმაწეილ სეფე ქალს და ძალიან გაოცდა, როდესაც მის თვალებზე ცრემლები შენიშნა. იმასაც მოადგა ცრემლები, მაგრამ თავი შეიკავა. „თუმცა დედოფალს ცრემლები არ შეჰქერის გაიფიქრა ნასკამ, მაგრამ დედოფალს არც ალელ-ვება შეჰქერისო“ და ამიტომ ის ცდილობდა დაემალა თავისი მლელ-ვარება.

— თქვენო უდიდებულესობავ! შეჰქერია გრაფინია! — შეხედეთ დედაკაცს და მის შეილს! იმათ ალბათ მადლობა უნდათ გადა-უხადონ თქვენს უდიდებულესობას.

ნასკამ მოიხედა და დაინახა, ის დედაკაცი, რომლის სიცოცხლეც ისე გმირულათ დაიხსნა. დედაკაცი თავისი შეილით გამწარებული მორბოდენ ეტლისაკენ. როდესაც გაუთანასწორდენ ეტლს და დედოფალმაც იქით მიიხედა, იმ დროს დედაკაცი დაეცა ძირს, აიხედა მალლა და გადაჯვარედინებული ხელი ააშეირა ზეცისკენ. ეს ნიშნავს ცარკოვის მთის ხალხის ულრჩეს მადლობას და თან ვედრებას ლეთისადმი, რომ ყოველი სიკეთე მიერიჭოს მათ კეთილის მყოფელს. ბავშმაც მიპახა დედას და ორივე დაჩიქილები იყვნენ იქამდის მანამ დედოფლის ეტლი სრულებით არ მიეფარათ თვალიდან.

ამას შემდეგ ნასკას თითქა გულზე ცოტათ მოეშვა ჯავრი. იმას ჰალიან იამა, რომ დედა-შეილმა არ დაივიწყეს მისი სიკეთე.

— საკეირეველი ეს არის რატომ მაშინვე არ მითხრეს მადლობა? მიმართა იმან როჩენბერგის ქალს — რათ მიმანებეს ისე თავი და ერთოც არ შემამხვდეს თავის მხსნელს!

— ოხ, თქვენო უდიდებულესობავ, უპასუხა გრაფინიამ — იმ წამს იმათ ყველაფერი დაეიწყებული ჰქონდათ. საკოდავი დედაკაცი! ის მეტათ ბეღნიერი იყო იმით, რომ გულში ჩაიკრა თავისი საყვარელი შეილი.

— საყვარელი მეილი — გაიმეორა მწუხარებით ნასკამ — კიდეც იმიტომ ისე ჩეარობდა შეილის გულში ჩახუტებას.

ყმაწეილი გრაფინია, მეტათ კეთილი გულის და მგრძნობიარე ქალი იყო და, როგორც ზევითაც ეთქვით, არც იყო შეჩერეული სასახლეში სასახლისებურ ლაპარაკს. ის საჩეაროთ დაეშვა ეტლში მუხლებზე, მოექვია ნასკას და გულში ჩაიკრა.

— ოხ, ჩემო ძეირფასო, ჩემო მშევნიერო! შეჰყეირა იმან და გაღმოპყარა ლაპალუპით ცრემლები. — ნუ თუ თქვენ კი არავის უყვარდით, არავინ გეხვეოდათ, არავინ გყოცნიდათ ხოლმე?

ნასკაც მაკრათ მიეკრა თავის კეთილ სეფე ქალს გულში და მდუღარე ცრემლები გადმოცვივდა თვალებიდან, რომელიც უცემეს შესწყდენ. ის გასწორდა და თითქოს გულ დამშერდებით მიმოიხდა, სახე-კი მთლათ გაუყერთლდა. რამდენსამე წამს შემდეგ მას მოუვიდა საშინელი ხველა.

გრაფინიას ასეთმა გაუფთხილებლობამ გამოატბიზლა გერუოგის ქერევი, რომელიც რაღაც მძიმე ფიქრებში იყო გართული და მან საშინელის მრისხანებით გადახედა ყმაწეილ ქალს:

— თქვენ სრულიად გაეიწყდებათ, გრაფინიავ, სადა ხართ და ვისთან! დაბალი ხვით სატიკათ შენიშნა გერუოგის ქვრივმა. — მე დაერწმუნდი, რამ სასახლის ჰაერი თქვენთვის მაწყინარია.

ს. ციციშვილი.

(შემდეგი იქნება)

## ქართველების აღსაჩენა.




ვთის-მშოლის წილ-ხედრ ქვეყანას  
 და მის სამკაულს ქებულსა—  
 ნინოს ჯვარს, სვეტი-ცხოველსა  
 ზეცით სხივ-მიშუქებულსა,  
 სადაც მეფობდა ვახტანგი,  
 ლომ-გმირათ სახელდებული,  
 დიდი დაეითი, თამარი,  
 სხივ-ცისკრათ გაბრწყინვებული;  
 ეინც შოთას ძუძუ აწოვა,  
 შუქი მიჰტინა ჯარათა,  
 ციურთა ენა უბოძა,  
 მზის სხივი კალმის ტარათა;  
 სად ვარდ-ზამბახათ ჰყევაოდენ  
 ჩახრუხა, მასთან შავთელი  
 და ნათელს ფენდა მთა-წმინდით  
 დიდი გიორგი ქართველი;  
 სად ჰქუებდა მოურავის ხმა—  
 იმ დიად—უპოვარისა,

## უმაწვილების აღსარება

სამშობლოს გასამხნევებლათ,  
 მტერთა დამცემათ ზარისა,—  
 მსხვერპლათ შევსწიროთ ამ მხარეს  
 ჩვენი ნიჭი და მხნეობა...  
 ამას მოითხოვს თვით ჩვენი  
 საერთო კეთილ-დღეობა!..  
 მაშ, ძმურათ გადავიხადოთ,  
 რაც ჩვენი საღმრთო ვალია!..  
 აწყვო დაფუდვათ საძირკვლათ,  
 გაშმარჯვე — მომავალია!..

დ. თომაშვილი.



## პ ა ნ დ ა რ პ ი.

(გადმოკეთებული ფრანგულიდან)



**ჭ**ანას თვალები ლაპარაკის დროს ისეთ ცეკვებს აფრიკეებდა და ისე იტაცებდა მსმენელებს, რომ ყველას გულში გამოიწვია ნდობა. მეფემ გასცა ბრძანება, რომ ქალისთვის მიერთმიათ ყოველ გვარი იარაღი. ეანას მიუჩინეს სულ რჩეული შეიარაღებული შეომრები და მიუტანეს დროშები, რომ იმათში თავის ნებით რომელიც უნდოდა ის ამოიჩინა. დროშა თეთრი იყო, ზედ სუმბულის ყვავილები ეხატა და გარშემო აბრეშუმის ფოჩი ევლო, გამოსახული ქრისტე ღმერთი ლოცავდა გვერდით მდგომ ანგელოზებს.

რაც შეეხება საოცარ იარაღს ყველა დიდის სიამოენებით დაუთმობდა თავის ხმალს, მაგრამ ეანამ თქეა, რომ ღვთის ბრძანებით წმიდა ეკატერინეს ეკლესიის მახლობლათ, ტყეში ჩაფლულია ხმალი, რომელზედაც გამოსახულია ჯვარი, ის მომიტანეთ იმითი უნდა გავათვისუფლო ორლეანიო. ეანას ბრძანება მაშინვე ასრულებს, მოძებნეს ტყეში და როგორიც აუწერა ჟანამ ისეთი ხმალი იპო-

ვეს, რომელსაც გაწმენდის დროს ფანგი ძალიან მაღე ჩამოეცალა.

ხალხის და მეომრების აღტაცებას ბოლო არ ჰქონდა, როდე-  
საც ქალის ნათქემი სიტყვები ასრულდებოდა ხოლმე. ჯარი დიდი  
ხალისით და ნდობით გაჰყეა ამ გატაცებულ ყმაშვილ ქალს, რომე-  
ლიც სრული დარწმუნებული იყო, რომ გაიმარჯვებდა. ერთამ ინგ-  
ლისის მეფეს შემდეგი, მუქარით სავსე წერილი გაუზიანა:

„მეფე ინგლისისავ და თქვენ, მისნო გამოჩენილნო ერის-  
თავებო, სარდლებო, კარის-კაცნო და ყველა თქვენ, ეინც ჩემობთ  
საფრანგეთის მეფობა! მოიქეცით სამართლიანათ და ნუ ეწინააღმდეგო-  
ბით ღეთისაგან დანიშნულ მეფეს, ჩაბარეთ პატრიონებს გასაღები ყვე-  
ლა იმ ქალაქებისა, რომელიც გაანადგურეთ და დაიპყარით, დაბრუნ-  
დით თქვენ ქვეყანაში, თორებ ნახაეთ ეინც არი ფან დარკი და რა  
დღესაც დაგაყენებსთ ის ამ ცოტახანში!“

ამ მუქარამ ტუუილათ არ ჩაიარა. თუმცა ქალაქ ორლეანს გარ-  
შემორტყმოდა დიდი ლაშქარი ფანა მაინც შეეციდა ქალაქში სამ მაისს  
1429 წელს, თავისი პატარა ჯარით. ეს ქალი თან მიუძღვდა აუკ-  
ება სურსათს, რომლის წარომევაც შიშით თავზარ-დაცემულმა  
მტერმა ვერ მოასწრო. ორლეანის მცხოვრებლებმა დაინახეს რო-  
გორ მიახლოედა ფანა ქალაქის სიმაგრებს და ეჭვი აურ ჰქონდათ  
რომ მაღე განთავისუფლდებოდენ. მართლაც რამდენისამე დღის შემ-  
დეგ ფანა თითქმის მარტო შედროშეთა და ორიოდ შეომრით მიუ-  
ახლოედა ინგლისელებისაგან აგებულ ქალაქის სიმაგრეს, წაართვა  
ერთი მისავალი და ის იყო თხრილს უნდა გადასულიყო, რომ უც-  
ბათ ტყვია მოხვდა მხარში. დაჭრილი ფანა დაეცა მიწაზე. მოისმა  
ინგლისელების აღტაცებით ყვირილი, ფრანგებმა კი სასოწარკეეთი-  
ლებით უკან დაიწიეს. ერთამ იგრძნო, რომ გამარჯვება მტერს დარ-  
ჩება, თუ თავს ძალას არ დაუატანო და მაშინევ თავისი ხელით იარი-  
დან ამოიგლოვა ტყვია, წამოვარდა ფეხზე, მოაგრძევა თავისი მცირე  
ჯარი, ავარდა ინგლისელების სრმავეზე და დაიპყრო იგი.

ერთი იმ დროის ისტორიკოსი მოგეითხობს, რომ შვიდი თვის



განმავლობაში ქალაქი ორლეანი გარემოცული იყო ინგლისელები—  
საგან და ვერც ერთმა ფრანგების გამოჩენილმა სარდალმა ვერ უკუ.  
აგდო მტერი, ხოლო პატარ-პატარა შეტაკებით თავდებოდა საქმე.  
და ჩეილმეტი წლის ქალმა-კი თავისი გმარული საქციელით ორ-სამ  
საათში გაანთავისუფლა ეს ქალაქი. ერთი კეირის განმავლობაში,  
სანამ ჟანა იქ იყო, ინგლისელები ისე გაიფანტენ, რომ მათი ხსენება  
იმ არე-მარეზე აღარ იყოო.

ახალგაზდა ქალს ესწრაფებოდა აესრულებინა ლეთისაგან მონ-  
დობილი საქმე და იწვევდა მეფეს დასავირგვინებლათ პირდაპირ ქა-  
ლაქ რეიმსში. მან არა ერთი ქალაქი დაუბრუნა ფრანგებს. ბევრი  
ინგლისის გამოჩენილი სარდლები შეიპყრო, სხვათა შორის სახელ  
განთქმული ტალბოც.

საცა-კი ჟანა გამოჩნდებოდა—მტერი მაშინვე გარბოდა. რო-  
მელ ქალაქსაც ეს ქალი თავისი გაფრიალებული დროშით მიადგე-  
ბოდა მაშინვე კარს ულებდენ და მორჩილებას უცხადებდენ. ქალაქი  
რეიმსი მაშინ ინგლისელებისაგან დაპყრობილი იყო, ჟანა დაპირდა  
მეფეს, რომ სამი დღის განმავლობაში ან ძალით დაეპყრობ და ან  
თავის ნებით ჩამაბარებენ გასალებსო. მართლაც სამ დღეს შემდეგ  
ქალაქის მცხოვრებლებმა მოახდინეს ამბორება და ინგლისის ჯარი  
იძულებული იყო გამოსულიყო ქალაქიდან. ქალაქის მცხოვრებ-  
ლებმა დიდის სიამოვნებით მიიღეს თავიანთი შეფე. 17 მკათათვეს  
1429 წელს რეიმსში მოხდა კარლოსის დაგვირგვინება, იმ წესით და  
რიგით, როგორც მოითხოვდა ჩეკულება.

გვირგვინის კურთხევის დროს ჟანა დროშით ხელში თავს ად-  
გა კარლოსს და როდესაც მეფე დაგვირგვინდა წამოიძახა: ახლა კი-  
დეც რომ მოვკდე აღარ ვინაღვლიო! მერე მუხლზე დაეცა კარლო-  
სის წინ და უთხრა:—შვენიერო მეფევ! ჩემი მოწოდება აესრულე,  
ორლეანი განთავისუფლდა, გამარჯვება თქვენია—მეფეთ დაგვირ-  
გვინდით. ახლა გამისტუმრეთ ჩემ ბინაზე, ჩემ სოფელში, ჩემ მინ-  
დორ-ტყეებში, საიდანაც წამოიიდი ჭიშოლოთ ლეთის ბრძანებით.

თქვენ, იმედია, წინააღმდევი არ იქნებით, რომ ამ წამში შემოეხსია  
ეს საომარი იარაღი და წაფილე ჩემ მოხუცებულ დედ-მამასთან, მო-  
უსარო იმათ, ვუმშევმსო ცხერებს. რომ იცოდეთ ჩემ და-ძმებს  
რანაირათ გაეხარდებათ ჩემი ნახეა!“

კარლოსი არ დათანხმდა, ეანა არ გაუშვა სახლში და უბრძანა:  
დარჩი და განავრდე ომიო.

ეანამ უარის თქმა ველარ გაუბედა და ამაზე ბევრიც იტირა.

რამდენჯერმე ეანამ კიდევ გაიმარჯვა და ხელმეორეთ დაუწყო  
თხოვნა მეფეს: „მიყავ სიკეთე, დამავალე, ნება მომეცი დაებრუნდე  
ჩემ სოფელშიო“, მაგრამ მეფემ ახლაც უარი უთხრა:

ეანას ბევრი მტერი გაუჩნდა. თვით საფრანგეთში სამღვდელოე-  
ბა და სასახლის კაცნი ყველა მას ემტერებოდენ, მეტადრე ისა სწყინ-  
დათ, რომ ეანას წყალობით მათ დაპარებეს გავლენა. პარიჟი ისევ  
ინგლისელების ხელში იყო და ის ჰერცოგი, რომელიც ჩემობდა  
ტახტის მემკვირეობას მხარს უჭირდა ინგლისელებს.

უხსათო კარლოსს უჭირებდენ საჭეს; მუქარის წერილებს  
უგზავნიდენ, უძახოდენ უკანონო მეფეს, რომელმაც ვიღაც ქალის  
წყალობით იმოვა ეს ხარისხი. ეანა ურჩევდა კარლოსს, რომ მაშინ-  
ვე დასცემოდა პარიჟს, მაგრამ ვერას გახდა; მხდალი კარლოსი ორ  
წყალ-შუა იყო და ვერ ბედავდა.

გადიოდა დრო და ეანა ჰყარგავდა თან-და-თან თავის გავლენას.  
ის ჭრილობის შემდევ კარგათ ვერ გრძნობდა თავს და არ უნდო-  
და ისე მომკედარიყო, რომ ერთი კიდევ არ ენახა თავისი სოფელი,  
თავისი ქოხი და თავისი დედ-მამა. და მესამეთ თხოვა მეფეს სახლ-  
ში გამიშვიო. მეფემ მაინც არ შეიწყნარა მისი თხოვნა, არ გაუშვა  
სახლში. სამაგიეროთ მის დედ-მამას-კი უბოძა აზნაურობა. გაჯავრე-  
ბული ეანა მოშორდა უმაღლურ მეფეს, წაიყვანა ცოტა ჯარი და ცალ-  
კე ეომებოდა მტრებს.

მხოლოთ ერთი წელიწადი გავიდა მას აქეთ, რაც ეანამ დიდის  
შებით გაიმარჯვა და აიღო ორლეანე, რომ ერთხელ, როდესაც ეს



გამბედავი ქალი, კომპიენთან ბრძოლაში ცოტა უკან ჩამორჩნა თავის ჯარს, მას უეცრათ ინგლისელები შემოეხეირ და, როდესაც ენა იყერებდა მათ, მიუახლოედა კიდეც თხრილს და ის იყო უნდა შესულიყო შიგ ქალაქში; ამ დროს იგი ტყვეთ ჩაუვარდა ინბლისელების მომხრე ფრანგებს. რასაკეირველია ინგლისელებს ძალიან გაეხარდათ ენას ტყვეთ დაჭერა, მაგრამ საფრანგეთის ხალხი-კი მეტათ შეაწუხა ამ ამბავმა. კარლოსის კარის-კაცთაც უხაროდათ, რომ თავიდან მოიშორეს „კუდიანი ქალი“.

ინგლისელებმა არ დაიშურეს ფული და 1000 ოქრო მისცეს იმ ფრანგს, რომელსაც ენა ჰყავდა დატყვევებული და ტყვე შეიყიდეს. იმათ მაშინვე იგი მძიმე ჯაჭვით შებოჭეს და რუანის ერთ კოშკში ჩავდეს. თითქმის მთელი წელიწადი იყო ასე დატყვევებული ენან დარკი და ამ ხნის განმავლობაში იმდენი დამცირება და შეწუხება აიტანა, რომ სხვა მის ადგილს ჰყუიდან შეიშლებოდა. არც კარლოსმა და არც სხვა დიდ-კაცობაზ ყური არ გაიბერტყეს და კრინტი არ დასძრეს უბედური ქალის საშველათ.

— მე რომ სასტიკათ დამსაჯონ, ამბობდა ენა,— დამზადებული კოცონი რომ ვნახო, თეთი ცეცხლშიაც რომ მაგდებდენ, ჯალათი რომ თავს მაღდეს — არ ვიტყეო იმას, რაც არ მითქვამს აქამდის და სანამ პირში სული მიღია სხვას არას ვიტყეა. ვერც-კი წარმომიდგენია, რომ ამაზე მეტი ტანჯვა გამოვიარო, მე შეელას მხოლოთ მაცხოვარი ღმერთისაგან ველიო.

ენას გასამართლება გაჭიანურდა დიდხანს. ინგლისელებს ძვირათ ულირდათ იგი და ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდენ, რომ როგორმე თავისით არ მომკვდარიყო. ამიტომ ერთხელ, როდესაც ის ავთ გახდა მაშინვე ექიმები გამოუგზავნეს და მოარჩინეს.

გამოძიების დროს ცდილობდენ როგორმე თავ-გზა დაებნიათ საცოდავი ქალისთვის და ერთსა და იმავე დროს რამდენიმე პირი აძლევდა სხვა-და-სხვა კითხვებს. ამ გზით რომ ვერაფერი წამოაცდევინეს მაშინ სხვა ხერხს მიმართეს. 24 მაისს 1431 წელს ენ დარკი

წაუკითხეს მსაჯულთა გადაწყვეტილება, რომლის ძალით იგი იმავე დღესეე უნდა ცეცხლში დაეწეათ, თუ არ იტყოდა რომ ჩეინებები ლეთისაგან-კია არა ეშმაკისაგან იყო მოვლენილი. ჯალათი ეტლით ელოდა ფანას, რომელსაც იგი უნდა წაუყვანა დასაწევათ. ფანა შეკრითა. მაშინ მას წაუკითხეს უარყოფის ქალალდი, რომელიც მან ლი-მილით და ჭიუიდან შემცდარი ადამიანისავით გაიმეორა. მან არ იცოდა წერა და მხოლოთ ჯვარი უნდა დაესვა. ინგლისის მეფის მღი-ენს მისი ხელი თავის ხელში ეჭირა და ისე დაასმევინა ფანას ჯვა-რი. მერე სხვა განაჩენი წაუკითხეს: ფანა სამუდამოთ მონასტერში უნდა დაეპატიმრებიათ, სადაც მას ექნებოდა მხოლოთ „პური ვაე-ბისა და წყალი მწუხარებისა რათა შეინანოს ცოდვა თვისი“.

მაგრამ ინგლისელები არ დარჩენ ამით კმაყოფილნი და რადგან ეშინოდათ რომ ხალხმა არ გაათავისუფლოს თავის საყვარელი ფანაო, ამიტომ ისევ სიკელილით დასჯა გადუშვიტეს.

30 მაისს 1431 წელს მსაჯულებმა ფანას, რომელიც ჯერ არც კი იყო ოცი წლისა, უსამართლე ბრალი დასდეს: ქალი რჯულის წინააღმდეგ მოქმედებდა და ლაპარაკობდაო და წაიყვანეს დასაწე-ვათ რუანის მოედანზე. რეა ასი შეიარაღებული ინგლისელი აცი-ლებდა დასჯილს. იქ დამზადებული იყო საკირქესთან ახლოს მსაჯუ-ლებისთვის და თეით ფანასთვის აღგილები.

მღვდელმა თქვა ქადაგება, რომელიც ასე თავდებოდა: „ფანა, წარეედ მშეიდობით, რამეთუ ეკლესიას აწ ალარ ძალუქს შენი და-ფარვა“. ფანამ გულმოდგინეთ მოისმინა ქადაგება, მიუტევა თავის მტრებს და ისე დიდხანს სასოებით ლრცულო? უა, რომ ზოგიერთმა ინგლისის ჯარის-კაცებმა შეჰკერდეს:

— რას აპირებ, საღილს ხომ არ გვაჭმევ აქაო?

მერე თვითონ მიიყვანეს ბოძთან და დაუკუვირეს ჯალათს:

— რას უყურებ, აასრულე შენი მოვალეობაო!

ფანა მიაკრეს ბოძხე, რომლის ქეებ უკობილი იყო შეშა, ბოძხე დაწერილი იყო: ფადოსანი, ეშმა ფანამ მოითხოვა ჯვა-



რა, ერთმა გულ-კეთილმა ინგლისელმა ორი ნაფოტი შეჭრისაშეცვალა  
რათ და მიაწოდა. იგი ემთხვევა ჯვარს და გულზე მიიკრა. როდესაც



ავარდა ალი ქანამ წამოიძახა: „ხმა ჩემი იყო ხმა ღვთისა! ჰოი, იგ-  
სო!“ და განუტევა სუ-

ცეცხლი ჩაქრა. მაყურებლები ცოდვით იწოდენ, ტიროდენ. ინგ-  
ლისის მეფის მდინარი, რომელიც დაესწრო ამ უბედურებას აღშეოთ-  
და და უთხრა მსაჯულებს: თქვენ დასაჯეთ წმიდანი და ამითი დი-  
დი უბედურება მიაყენეთ ჩვენ ქვეყანასო.

ხალხს არ სჯეროდა ფანას სიკედილი და ხმა დადიოდა, რომ  
ალიდან თეთრი ტრედი ამოფრინდაო. აღშეოთებულმა ხალხმა მო-  
ითხოვა მეორეთ საქმის გადაშინჯვა, მსაჯულების განსამართლება  
უკანონოთ იცნეს და მეფის ბრძანებით განაჩენი საჯაროთ დახიეს,  
მაგრამ ფანას აღარა მოესწროა-რა. მართალია ფანას ფერფული ქარს  
მისცეს, მაკრამ მისი ხსენება საუკუნოთ დარჩა.

ახ. წერეთლისა.

(დასასრული)



ვინ იყო უდიდებულესი თაქართველოს მეფე — ქალი?  
 რითი იყო იგი დიდებული? \*)



თაქართველოს უდიდებულესი მეფე — ქალი  
 იყო თამარი. თამარის დიდი სიამოვნებას  
 შეადგინდა ღარიბთა შემწეობა, კლახაკ-  
 თა შეწეალება, მაგრამ მოწეალებას იგი  
 საზინიდან-კი არ აძლევდა. მან იცო-  
 და მშვენიერი სელ-საქმე, ოქრომკედი  
 და როგორც-კი მოიცულიდა სახელმწიფო საქმეებისაგან, მა-  
 შინვე სელ-საქმეს მიჰქოვდა სელს. მისი ნაკერავი და ნაქ-  
 სოვი ძვირფასათ იუდებოდა და აი ამ ფულით იგი შემწე-  
 ობას აძლევდა ღარიბ-ღატაკთ. ის იყო ფრიად გულ-შე-  
 მატებიგარი და ძლიერ უუვარდა ქვეშევრდომები. შესანიშნავი

\*) პასუხი „ჯეჯილის“ IV №-ში მოთავსებულ საჩუქრის მისა-  
 სალებ კითხვისა.

იუ კიდევ მით, რომ უწინ სხვა მეფეების დროს დამნაშავეების სჭრიდენ ხელებს, ფეხებს, თხრიდენ თვალებს და სხვა; თამარმა-კი უველა ესენი სრულდად მოსპო. გარდა ამისა თამარმა საქართველოს სამეფო ისე გაამაგრა, რომ უველა საზღვრები უშიშარი გახადა და ბევრი უცხო ქვეუნებიც შემოუერთა. ამას გარდა საქართველოს ერთი კუთხე არ იყო, რომ სავსე არ უოფილიერს მცხოვრებლებით. შესანიშნავი იუ მითაც, რომ სახაზინო ფულის სარჯვამიაც დიდ სელ-მოჭერილობას იჩენდა. მდიდრულ საჭმელს მაშინ აკეთებდა, როდესაც გარეშე ქვეუნების სტუმრები ეწვეოდენ ხოლმე. ამასთანავე თამარი დიდ ურადღებას აქცივდა მეურნეობის და სწავლა-განათლების გავრცელებას, მწერლობის და მწიგნობრობის გაძლიერებას. თამარის დროს იმ ადგილას, სადაც ახლა უდაბნოებია გამენებული იუვენ მრავალნი ქალაქი, სადაც ჰევალდა სარწმუნოება და მეურნეობა. უოშილ ბედნიერ ლაშქრობის შეძლებ იგი აშენებდა დიდებულ ტაძრებს. თამარი ბევრ სიმდიდრეს სწირავდა სხვა უცხო ქვეუნების ეკლესიებსაც. ამისთანა დედობრივი ზრუნვისათვის ქართველებმა უწოდეს მას «დიდებული» უოშელთა ქართველთა მეფეთა შორის. არც ერთი მეფე ქართველ ერს არ ახსოვს ისე, როგორც თამარი.

საჩერის ორ-კლასიანი სკოლის მეხუთე  
განცოფილების მოწაფე დიანოზ აბრამიშვილი. 13 ♂.



## ა კ რ ი ს ტ ი ხ ი.

(წარმოდგენილი ქ. ფორუმის მიერ დაგანა).

არ მოგვაწყენს — მუღამ ლექსებს  
 კიმბალ-კიმბალ მოგვაწოდება,  
 არ შედკება მისი ჩანგი  
 კვლავ გვიმლერს და კვლავ გვამლერებს;  
 იკურთხოს მისი ჭალარა,  
 არ გვყავს მისთანა ალარა.

## ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოდგენილი ქართველი ასებში — საგან).

თუ თავათ ბოროტი არა ხარ — ბოროტისა ნუ გეშინიაო.

ჰქუა ყველას აქვს, მაგრამ მოხერხება უნდაო.



## ଗାମିତ୍ରାନ୍ତିକା.

(ହିନ୍ଦୁମନ୍ଦିରପାତ୍ରର ପାତ୍ର ଅନୁଷ୍ଠାନିକାଙ୍କାଣି).

ଯୁଧିନ୍ଦେଶ୍ଵର ଏହିସ ଫଳିତ ଦରିଆ,  
କିମ୍ବା ଯୁଧିନ୍ଦେଶ୍ଵର ଦୁଃଖବସନ  
ଲାଭେ ତ୍ରୟାଳୀ-ସିନାତଳିବାନ୍ତି  
କୁର୍ମଶିଶ ଦ୍ୱାରାନାରଦବଦ୍ଧବସନ  
ତାରୀ କୁର୍ମଶ ମୁଖ୍ୟତିବସନ୍ଦେଶ,  
ତତତାନ କାର୍ତ୍ତାରା କୁର୍ମିବା,  
ଲାଭିନ ଚିତ୍ରଦିଵଦଶି ଗାତ୍ରିବିନ୍ଦ,  
କିମ୍ବା କୁର୍ମଶ ଗଲାବ୍ୟବିନ କାର୍ତ୍ତିବା.

## ଗାମିତ୍ରାନ୍ତିକା ପରିଚୟ.

(ହିନ୍ଦୁମନ୍ଦିରପାତ୍ରର ପାତ୍ର ଅନୁଷ୍ଠାନିକାଙ୍କାଣି).

ମାନ୍ଦିନିର କିଲୋ ଶକ୍ତ୍ଯା-ଦା-ଶକ୍ତ୍ଯା ଯୁଦ୍ଧିନି  
ଯୁଦ୍ଧିନିର ଅତ୍ୟନ୍ତ ଏତିଃ  
—ମେ ଦାମିତମିର କିମି ଶକ୍ତ୍ୟାଲି,  
ଶକ୍ତ୍ୟା ମର୍ଯ୍ୟାଦିର ପ୍ରତି ମାର୍ଯ୍ୟାଦି  
ଦା ଗ୍ରେହଦଶି ନେଇ ଅମିତିଦ୍ୟକ୍ଷି;  
ମେହିମେ ମିଶ୍ରମାତ କିମ୍ବା ନି ଚିତ୍ରଦ୍ୟବା,  
କାମଦ୍ୟଲିପି କିମାର୍ଯ୍ୟାଶ କାଲିନି ପ୍ରତିବା,  
ଦା ସାମତାର ଶ୍ରେଷ୍ଠବିଜ୍ଞାତ ପ୍ରତି ଶକ୍ତ୍ୟାଲି,  
କାମ ମିଳାକ୍ଷେତ୍ରମାତ ଏହି ନ୍ୟାନ ମନ୍ଦିରି.



ლუჯრების ამოცანა.

(შედგენდათ საო.-აზ. სკოლის მოწაფე ლევან ლაზარევის მიერთავა).

15, 10, 45. Համապատասխան գույքի վեհականությունը պահպանվում է առաջարկության մեջ:

### 38, 39, 19, 2. ქალის სახელი.

1, 7, 16, 37. უსინათლო.

36, 9, 30. რით არის კაცის თავი დაუარული?

29, 13, 21, 4, 49, 1, 14, 8. სადაც კაცი დაიბადება?

18, 46, 3, 32, 40, 11. ერთნაირი ხმა კაცისა.

35, 17, 33, 20. სატუსალო ან ძველი შენობა.

6. 23, 28. Յոյրու կամա. Բնուլու?

22 22 31 44 7 47. სამუშაოები, დასაკრავი.

12. 5. 42. 25. 34. համելում և սամելու.

21 48 26 အိမ်အနိုင်ရေး ရုံးတော် အပြည့်စုံ အသာဆုံးလျှော့ပါ။

41. 1-նորոշական մտնութեան 4.

## କୃପାଲୁଙ୍କ

(წარმოდგენილი სათავე-ზე. სკოლის მოწ. ღ. ღევანიშვილისა კან).



七

საშიშარი  
სწეულება

3  
3



၅

ერთი დედის  
შვილები ქალ-  
ვაჟი

ၬ၈



**№ V გამოცანებისა.**

აკროსტიხი: ა. თ. წერეთლისა.

გამოცანები: 1) წისქვილი, 2) ირმის ჩქები, 3) ლოკოკინა, 4) ცოცხი.

შარალები: 1) აგარაკი—არაკი—არა—კი, 2) ბერი.





ეროვნული  
მეცნიერებათა

საქართველოს ნახატებიანი უკუნალი

# „ჯ ე ჯ ი ლ ი“

წელიწადი მეცნიერებები

ჟურნალი 1902 წელსაც თევზი ერთხელ იმავე პროგრამით, რომა-  
რათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯ ე ჯ ი ლ ი“ მიღებულია თვითისის საეპარქიო და  
ფეხისის თლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სა-  
შეითხელოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯ ე ჯ ი ლ ი“ თვითისში დატარებით ლირს 4 მან. თვი-  
ლისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ჟელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

- 1) თვითისში—„წერა-კითხვის გამ. საზოგა-  
დოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. №  
Груз. Двор., № 101), და თვით „ჯ ე ჯ ი-  
ლი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5,  
возлѣ Кадетского корпуса).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтс-  
каго журнала „Джеджили“.



၁၄၇၃၂။